

კარი ერთოსელი

კოლეგი
ფსალმუნი

100-ტომეული



გამომცემლობა „კნივერსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

კუსა ექისტელი



კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

კუკა ეჭილელი



კოლეური
ფსალმუნები

ტომი 69

2020



მთ. რედაქტორი

ნათელა გონიერაშვილი
მწერალი, საქართველოს
მწერლთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა
საერთაშორისო აკადემიის
„ქალდეა-საქართველო“-ს
აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „კენცხალსალი“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ჟ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-876-2 (69 ტომი)



* * *

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორგაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირნევა-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინის“ გამოსცემის ვაშა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუთი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიდის არენისგის ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმერანის გედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის მქროს ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრმენის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მოერალია მეცნიერთა და საზოგადო მოდვარია საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს კრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთა-სამცნეომრო კაპადემიის ვიცე-კრეზიდენტის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეულების „კოლეჯი შასლაშვერის“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისელის ახალი, ოჩული „კოლეჯ-რი შასლაშვერის“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემ-ლობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდი-ანი, უბადლეს კოლიბრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიურულს გამოვიდა „კოლეჯი შასლაშვერის“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისელის კლასისური კოექტის ათომობუ-ლი, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოე-ლი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე და კანკისყრით ერთ-ხეად აირჩია აგავე კადემიის 30ხვ-კარეზილენტი, ცხობილი კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის დესანტი, „კოლეჯი შასლაშვერის“ 100-ტომეულის აპტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროვესორი ვაჟა უბრისელი.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მუხრალი) და ორი ვაქიტვილი ზრუბი და დაჩი (ორივა იურისტი) და სამი მვი-ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხევ შვილია (შვილი ქმა და ორი და).





პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვის რომ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, რომ აზანზარებს ჩემად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შალმუნე-ბის“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხე, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვდავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხამაბაღლა ვაცხადებ: ვა-შა მცირებული არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეცს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმის ჰალაში მდგა-რი მუხაა, რომელსაც ოქროს საჯმისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ყელასგან იაზონება მედვეასთან ერთად რომ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მთიული ხელმოწის, აიეტის ხელი დარ-ბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპახე, კოეჭმა ოქროს საჯმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შალმუნების“ იგავითვალებრივი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვის ნაცარიმიყრილი, არა მარ-ტო კოლხეთის, არამედ იმდონიდებრი სამყაროს ოცდათოთხმე-ტებ მეტ საუკუნვანი მთიული, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკითხავია.

100-ტომეული... ქვეყნის განენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრიჟისა და სიძულვილის გვე-ლუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

გულახ ხარაიზვილი

კოეჭი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„გულიგად შესვლი ყოველ შებას, ყოველ ძაბხას.“

ა. პუშკინი

გთავაზობთ, ამონარიდებს ვაჟა ეგრისელის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ათასამდე ქართველ და უცხოელ მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა წიგნებიდან, სტატიებიდან, წერილებიდან:

ვაჟა ეგრისელის ლექსები მცირე ზომის ჩანახა-
ტებს წარმოადგენს, მეტაფორებითა და დრამატიზ-
მით რომაა დამუხტული. მინიატურული სალექსო
ფორმა პოეტისათვის სააზროვნო სივრცედ იქცა, რა-
მაც ხელი შეუწყო თვითმყოფადი სტილის დამკვიდ-
რებაში.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა,

გაზეოთ „ლიტერატურული საქართველო“.

18 ოქტომბერი, 1991 წელი.

რევაზ ჩხარტიშვილი – მწერალი, პროფესორი: „...
ვაჟა ეგრისელისებურად, ლაკონურად და სხარტად
თითქმის არავინ წერს ქართველ პოეტთა შორის...“



გიორგი ციციშვილი – პოეტი: „...ვაჟა ეგრისელის მცირე მოცულობის ლექსებში დიდი აზრი და ფიქრია ჩატუდებული...”

გიორგი წერეთელი – პოეტი: „...ვაჟა ეგრისელმა წინ დაგვიდო ფასდაუდებელი წიგნი-კიდობანი - „იქ-მენ ნათელი!“ ახალადმოჩენილი მარგალიტებით სავსე... მიხარია, რომ პოეზიის ლაჟვარდოვან ცაზე კი-დევ გაჩნდა ვაჟა...”

გიზო ჭელიძე – მწერალი, პროფესორი: „... ჩემამ-დე ბევრ მწერალს და მეცნიერს უთქვამს და მეც ვი-მეორებ: ვაჟა ეგრისელმა ქართულ მწერლობაში და საერთოდ მწერლობაში ყველასაგან განსხვავებული, გამორჩეული სიტყვა თქვა...”

იმერი ხარაძე – პოეტი: „...უძველესი კოლხური მითებითა და ლეგენდებით, იდუმალი ხილვებითა და მეტაფიზიკურ სივრცეში შეჭრით გაჟა ეგრისელმა შექმნა ამაღლებული, პირველყოფილ უმანქოებასთან წილნაყარი უდიდესი პოეზია...”

პროკოფი ხვიჩია – პროფესორი: „... ეგრისელის პოეზია დიდ წინაპართა ფერფლად ქცეული და მი-ვიწყებული სულის საგალობლია...”

გივი ხვიჩია – ქიმიკოსი: „დროებით ოკუპირებული აფხაზეთის კვნესა მოისმის ვაჟა ეგრისელის უზომოდ ტკიფილიანი ლექსებიდან...”



ნოდარ ხუნდაძე – პროზაიკოსი, პოეტი: „...ზღვის დაუოკებელი სტიქია ბობოქრობს ვაჟა ეგრისელის უკიდეგანო პოეზიაში...“

ტიტე ხუხუა – ლიტერატორი: „...მსოფლიო პოეზიის ოკეანეში აისძერგივით მოჩანს ვაჟა ეგრისელის ლირიკული ლექსების უზარმაზარი კრებული - „იქმენ ნათელი!“

ალაზა ხაიაური – პოეტი: „...ვაჟა ეგრისელმა ბევრი საინტერესო წიგნი გამოსცა და ლექსებით დაამტკიცა, რომ იგი ბუნების მომღერალი დიდი მგოსანი და გენიალური ვაჟას ღირსეული მემკვიდრეა...“

ზურაბ ჯულელი – ინჟინერ-კონსტუქტორი: „...ჩემი აზრით, თანამედროვე ქართულ პოეზიაში ვაჟა ეგრისელი თავად გახლავთ სკოლაც და მიმდინარეობაც...“

რევაზ ჯაფარიძე – მწერალი: „... ვაჟა ეგრისელი ერთ-ერთი საინტერესო პოეტია იმ პოეტებს შორის, რომლებიც ამჟამად მოღვაწეობენ და მსხვერპლს წირავენ პოეზიის ღვთაებას. მისი ლექსის ინტონაცია ელეგიურია, ხატვის მანერა კი სახოვანი, რელიეფური, ალაგ-ალაგ მონუმენტურიც.“

ეგრისელის ლექსები ყურადღებას იქცევს როული სიუჟეტური აღნაგობით და რითმების ბრწყინვალებით. ლექსის შინაგანი ტონალობა თითქოს



ლრმად ჩაძირულა პოეტური განცდის წიაღში და მკითხველის გულის კამერტონს იქიდან ეხმაურება. იგი თითქოს ზარის ერთი ჩამოკვრაა, ერთი აქდერებაა, რომლის გარშემოც ბგერების უსასრულო წრეები გროვდებიან.

პოეტის ნაფიქრ-ნააზრევ-ნაძერწის კომპაქტურობას ხელს უწყობს ლექსის მცირე ფორმა, მცირე ფორმაში მოქცეული იმპრესიონისტური ხედვა მოვლენების აღქმაში არასოდეს არ აგრევა. ეგრესელის პოეტური სტრიქონი არ ეგუება უცხო სხეულს, ერთხელ უკვე ნათქვამის განმეორებას, საიდანდაც მოტანილი რემინისცენციებს. ის თავისთავადია და არც თავის მხრივ შეიძლება იქცეს სხვა პოეტის ლექსის შემადგენელ ნაწილად, რადგან მას თავისი შემქმნელის განუმეორებელი ბეჭედი აზის...”

ანდრია აფაქიძე – აკადემიკოსი: „.... ჩემი ხანგრძლივი არქოლოგიური მუშაობის პერიოდში აღმოჩენილი მრავალ ღირსშესანიშნაობათა შორის, ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნების“ ათასგვერდიანი ტომეულები ჩემთვის ყველაზე დიდი აღმოჩენაა...”

მურმან გელენიძე – მხატვარი, აკადემიკოსი: „.... ვაჟა ეგრისელი თანამედროვეობის დიდი პოეტი-მხატვარია, მისი უდიდესი პოეზია მეტაფორულენოვანი ფუნჯითად ამეტყველებული და ამიტომ ყოვლის მმუსვრელი უმი ამაოდ შეეცდება მის დამუნჯებას...”



გიული გეგელია – არქიტექტორი: „... არა მგონია თანამედროვე მსოფლიოში იყო ვაჟა ეგრისელზე დიდი, ფილოსოფიურად მოაზროვნე პოეტი...”

დავით გვაძაბია – პარლამენტარი: „...ვაჟა ეგრისელის „შავლეგო” კავკასიონის მთაა, სადაც ქართული სული-ამირანია მიჯაჭვული...”

ერეკლე საფლიანი – პოეტი: „... ვაჟა ეგრისელის პოეზია განუმერებელია... მისი ლექსი სხვათა მიღიონი ლექსიდან გამოიცნობა...”

ლაშა გვასალია – პოეტი: „... ვაჟა ეგრისელი დიდი პოეტი და ისტორიული კოლხეთის სწორუპოვარი ჭირისუფალია...”

ფარნაოზ ლომაშვილი – პროფესორი: „... ვაჟა ეგრისელი თანამედროვე ქართული პოეზიის მშვენებაა...”

ზურაბ ლიპარტია – პროფესორი: „... ვაჟა ეგრისელი „დიდი ვაჟას კლდის ნასხლები” (ტარიელ ზოზრაშვილი) კი არა, პოეზიის პიტალო კლდეა...”

ალექსანდრე მუჯირი – პროფესორი: „...ვაჟა ეგრისელის პოეტური ქმნილებების სიღრმისეული წვრომისთვის, დიდი დროა საჭირო...”

ნოდარ ჭითანავა – პროფესორი: „... წარსულის, აწმეოს და მომავლის კვარცხლბეჭებე ამაჟად შემ-



დგარი ბატონი ვაჟა ეგრისელი სილამაზის, ცოდნის და რწმენის ერთიანობის სანიმუშო მაგალითი, დღეგრძელობის ღირსი კაცია... დღეგრძელი იყავი, ბატონო ვაჟა!”

ალექსანდრე კუჭუხიძე – სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთი”-ს პრეზიდენტი, აკადემიკოსი: „... ვაჟა ეგრისელის „კოლხეურ ფსალმუნებში” არა მხოლოდ ლეგადარული აიეტის და მედეას კოლხეთია გაცოცხლებული, არამედ შემდეგი დროინდელი ეგრისიც და... დღევანდელი სამეგრელოს ცრემლნარევი ხმებიც მოისმის მისი უბადლო პოეტური სტრიქონებიდან...”

გახტანგ დავითაძა – აკადემიკოსი: „... ჯერ კიდეროდის, მეოთხედი საუკუნის წინათ, ვაჟა ეგრისელის გუწინასწარმეტყველე დიდი პოეტური მომავალი... მის ლექსებში ეპითეტების ზეიმი და მეტაფორების ნამდვილი ცვენაა...”

ვაჟა აზარაშვილი – საქართველოს სახალხო არტისტი, პროფესორი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე: „...არა მგონია, დუნიაზე ბევრი იყოს ვაჟა ეგრისელივით სახელოვანი პოეტი, რომლის ლექსები მსოფლიოს 45 ქაზე თარგმნილი და მისი ავტორი გინესის წიგნში იყოს შეტანილი...”

გიორგი ჯავახიშვილი – პროფესორი: „... ვაჟა ეგრისელი ჭეშმარიტად ჩასწვდა კოლხეურ სულს, მისი



„კოლხური ფსალმუნები” მეტანით (მუხლმოყრით) არის წასაკითხი...”

ცოტნე მირცხულავა – ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი: „... ახლახან ამერიკის შეერთებული შტატებიდან – რადიოთი დიდი გადმოცემა იყო ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაზე, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეგრისელი დიდი პიროვნება და საქვეყნოდ აღიარებული პოეტია...”

მიმოზა ცანავა – პოეტი: „... გიორგი ჭყონდიდელის სიბრძნე და ცოტნე დადიანის რაინდობა ელავს ვაჟა ეგრისელის „კოლხურ ფსალმუნებში.“

კოჩა კოლხი – ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი: „... ძველი კოლხური ცივილიზაციის გენიალობაში წვდომამ და ვაჟა ეგრისელის „კოლხურმა ფსალმუნებმა“ მიბიძგა: გამეხსნა და მეცნერულად შემქსწავლა „ძველკოლხური ენის საიდუმლოებანი...”

თეიმურაზ გუგუშვილი, ჯემალ მდიგანი – საქართველოს სახალხო არტისტები: ...” ვაჟა ეგრისელი ცისკენ მაცქერალი, მეოცნებე მგოსანია. მისი უდიდესი პოეზიდან გვესმის ბეთოვენის სიმფონიები, დონიცეტის, ვერდის, ფალიშვილის, თაქთაქიშვილის და სხვა გენიალური კომპოზიტორების მელოდიები, რომელთაც ჩუმად გლიფნებთ ჩვენთვის...”



გიორგი შათირიშვილი – იყალთოს, შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიის რექტორი: „...რენტგენის სხივებიც ვერ უპოვის ვაჟა ეგრისელის დიდ პოეზიას და უბრწყინვალეს პიროვნებას „შავ წერტილს.“ მას, მამულისათვის თავდადებულ და ერთგულ მსახურს, არ სჭირდება ტაში...”

გიორგი გეგმებორი – მხატვარი: „...ვაჟა ეგრისელმა თავისი ბრწყინვალე „კოლხური ფსალმუნებით“ გაგვიცოცხლა აიეტის და ქუჯი ეგრისელის ზღაპრული კოლხეთით...”

ხვთისაგარ არჩემაშვილი – პროფესორი: „... ვაჟა ეგრისელი – მამულის იმედი, ადამიანის გულის მალამო და პოეზიის მეწყერია...”

ილია პატაშვირი – მხატვარი, აკადემიკოსი: „...ვაჟა ეგრისელი – მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიის ქონგურზე მდგარი – პოეტი მეციხოვნეა...”

შალვა საბაშვილი – პროფესორი, პოეტი: „... ვაჟა ეგრისელმა თავისი ბრწყინვალე „კოლხური ფსალმუნებით“, როგორც არავინ, განადიდა ეგრისი...”

ირაკლი კალანდია – პროფესორი: „... ვაჟა ეგრისელი – ფილოსოფიურად მოაზროვნე, საოცარად დიდი პოეტია...”



რევაზ ხუხუა – აკადემიკოსი: „... ეგრისელი გარდა დიდი პოეტისა, უდიდესი მამულიშვილიცაა და რაინდიც...”

უშანგი მოსიაშვილი – აკადემიკოსი: „გიორგი სააკაძეზე მიძღვნილმა ვაჟა ეგრისელის ლექსებმა სულ სხვა ბრწყინვალება შესძინეს დიდი მოურავის უკვდავ სახეს...“

სოფო ქართველიშვილი – პოეტი: „... ვაჟა ეგრისელი ის პოეტია, რომლის უდიდესი შემოქმედება ნებისმიერი დიდი ქვეყნისა და საუკუნის ლიტერატურას დაამშვენებდა...”

იაკობ ახუაშვილი – პროფესორი: „... ვაჟა ეგრისელმა, ამ მრავალუეროვანი ნიჭით ხმობილმა კაცმა, მრავალსაუცუნოვანი ქართული ლიტერატურა უფრო აამაღლა და გააღამაზ-გაამშვენიერა...”

ვალერიან მოსაშვილი – მწერალი, („ბიბლიური ლექსების წიგნი”): „... ვაჟა ეგრისელის ლექსზე შეიძლება თვეობით იფიქრო და სქელტანიანი წიგნები დაწერო. მისი ლექსების ჩვეულებრივი წაკითხვა არ შეიძლება, მას „ბიბლიის” მსგავსად დრმად ჩაწვდომა ესაჭიროება, რომ შეიგრძნო პოეტის სიბრძნე, სიტქმო, და სითბო. ასეთი ყოველი დიდი პოეზია ხალხს ეპუთვნის და ვაჟა ეგრისელი განუმეორებელ-



ლი ხმის, ჭეშმარიტად დიდი და სახალხო პოეტია...”
(1993წ.)

იგორ ტყებუჩავა – ინჟინერი, ფაზისის საერო
აკადემიის ნამდვილი წევრი-აკადემიკოსი: „...როგორც
დავით წინასწარმეტყველი (ფსალმუნთმგალობელი)
სამიათასი წლის წინათ, ასევე ვაჟა ეგრისელი სამია-
თასი წლის მერე „კოლხეური ფსალმუნებით”(30.000
ლექსი) სახოტბო საგალობელი პოეზიის გვირგვინო-
სანი მეფეა...”

ავთანდილ თოლომაშვილი – პროფესორი, საქარ-
თველოს ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი:
„...ზოგიერთებს თვალზე შერის ლიბრი აქვთ გადაკ-
რული, ვითომ ვერ ხედავენ, ვერ ამჩნევენ ვაჟა ეგრი-
სელის ჭეშმარიტად განუმეორებელ პოეზიას...”

ქარლო თოფურიძე – პროფესორი: „...ვაჟა ეგრისე-
ლის პოეზია ზოგადყაცობრიული და ყველა ეპოქისა
და ყველა ხალხის კუთვნილებაა...”

დავით იუგურიძე – პოეტი: „... ათასწლეულებს
გაწვდება ვაჟა ეგრისელის პოეზია, რადგან იგი,
სრულიად ახალი სიტყვად მრავალ საუკუნოვან ქარ-
თულ მწერლობაში...”

ზაზა კაციაშვილი – პოეტი მეცნიერი: „... პოეზი-
ის საჯილდაო ქვაც აწია და სიზიფეს ლოდიც აიტა-
ნა ვაჟა ეგრისელმა პარნასის მთაზე...”



ნიკო კერესელიძე – პროფესორი: „... ვაჟა ეგრისე-ლის ლექსები უძველესი ქართული ტაძრების ფრეს-კებივით – დვთიური სულითაა გაბრწყინებული...”

ალექსანდრე კვაშილავა – პროფესორი, აკადემი-კოსი: „... ვაჟა ეგრისელის პოეზიიდან ისმის კოლხე-თის შორეული წარსულიდან მოფრენილი, ზღაპრუ-ლი ფასკუნჯის ქრუანტელის მომგვრელი ფრთების ტყელაშუნი...”

რევაზ კილაძე – პროფესორი: „...ვაჟა ეგრისელის პოეზიის ერთი წევთიც კი – აუწონავი აზრისა და ზღვა შინაარსის ტევადობისაა...”

გარლო ჭობავა – ისტორიკოსი, ფაზისის საერ აკადემიის ნამდვილი წევრი – აკადემიკოსი: „... სამეგ-რელოს, სახელოვანი პოეტები არასოდეს კლებია – (ალიო მაშაშვილი (მირცხულავა), ალექსანდრე აბა-შელი (ჩოჩია), სიმონ ჩიქოვანი, პოლიო აბრამია, ხუ-ტა ბერულავა და სხვ.) მაგრამ ვაჟა ეგრისელი (დოლბაია) – თავის „კოლხური ფსალმუნებით“ (30 000 ლექსი) განუმეორებელი და გენიალურია...”

ვანო მეგრელი – პოეტი, საქართველოს ეროვნუ-ლი აკადემიის აკადემიკოსი: „... თანამედრვეობის უდიდესი პოეტი ვაჟა ეგრისელი ოცდამეერთე საუკუ-ნის პოეზიის მესიაა და ჩვენ პოეტები, როგორც მაც-



ხოვარს თავისი მოწაფეები, თაყვანს უნდა გცემდეთ
მას...”

რომული ჯაფარიძე – არმიის გენერალი, აკადე-
მიკოსი: „...რუსთაველის, ბარათაშვილის, ვაჟა-ფშავე-
ლას და გალაკტიონ ტაბიძის შემდეგ, ჩვენ ვაჟა ებ-
რისელი მოგვივლინა არსთა გამრიგემ...”

ლიანა წურწუმია – პროფესორი, ფაზისის საერო
აკადემიის სწავლული მდიგანი: „...ვაჟა ეგრისელი
დიდი პიროვნება და დიდი ფილოსოფოსი პოეტია...”

ქეთევან კობაიძე – ფიზიკოსი, პროფესორი: „...
ძელი ბერძენი ფილოსოფოსი დიოგენი რომ ეძებდა
სანთლით, ის კაცი და პოეტია ვაჟა ეგრისელი...”

რევაზ კორტავა – ლიტერატორი, პოეტი: „... გრი-
გოლ ორბელიანი დიდი პოეტია, მაგრამ მისი დის-
შვილი ნიკოლოზ ბარათაშვილი გენიალურია...”

ალიო მაშაშვილი (მირცხულავა) – „თანამედრო-
ვეობის დიდი პოეტია,” მაგრამ მისი დისწული – ვაჟა
ეგრისელი კი ჯერაც შეუცნობი ფერმენტია...”

ბუდუ ქუპატაძე – პოეტი: „... ადრე მითქვამს და
ახლაც ვიმეორებ: ვაჟა ეგრისელს აწი ვერცერთი მი-
სი თანამედროვე პოეტი ვერ „დაეწევა”...”



ზურაბ ლორთქიფანიძე – პოეტი: „... ყოველთვის
მანცვიფრებდა ვაჟა ეგრისელის მეტაფიზიკური და
მეტაფორული აზროვნება...”

ალიო მაშაშვილი – მირცხულავა – პოეტი: „...
ვაჟა ეგრისელი იტყვის თავის სიტყვას მრავალსაუ-
კუნვან ქართულ პოეზიაში, ამის საწინდარია ახალ-
გაზრდა ლიტერატორის უტყუარი პოეტური ნიჭი...”
1961 წელი.

გივი მინდიგაური – იურისტი, პოლკოვნიკი: „...
არა მთისა და ბარის, კოსმიურია ვაჟა ეგრისელის
პოეზია...”

ლერი მუსხელაძე – მწერალი, ქურნალისტი: „...
ბიბლიის ყველაზე დიდსა და წმინდა საიდუმლოება-
საა ნაზიარები ვაჟა ეგრისელის ბრწყინვალე პოე-
ზია...”

ალექსი ბოლქვაძე – მწერალი: „... ვაჟა ედრისე-
ლის პოეზიის სირთულეს, მისი ლირიკის ფილოსო-
ფიურ სიღრმეს – გონქბის თვალით უნდა ჩასწვდე,
ჩაეძიო, ისე ზერელედ თვალის ერთი გადავლებით
მისი უკიდეგანო სიდიადის აღქმა ყოვლად შეუძლე-
ბელია...”

გივი ბოჯგუა – მწერალი, ფილოლოგიის მეცნიე-
რებათა დოქტორი: „... ვაჟა ეგრისელის პოეზია, მეო-



ცე საუკუნის პოეტური ვულკანის ამოფრქვევაა, ბოროტების სიკეთით წამლეკავი...”

ნოდარ გაბლიშვილი – პროფესორი: „... ვაჟა ებრისელის ფილოსოფიურ-ლირიკული ქმნილებები, ცოცხალი მატიანეა საქართველოს უძველესი ცივილიზაციისა...”

ზურაბ გეგიძე – იურისტი, მოსამართლე: „... ლაქორთი ყველაზე მაღალი მსაჯულია. იცის ვინ, როგორ და რანაირად დასაჯოს... მაგალითად, პოეტ ვაჟა ეგრისელს „მიუსაჯა” სამუდამო პატიმრობა პარნასის მთაზე – მუზების სამყაროში...”

ელდარ გეწაძე – საქართველოს სახალხო არტისტი:

„... კოლხებისა და ლაზების უძველესი ომახიანი სიმღერების ხმა მოისმის ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნებიდან...”

სოსო სიგუა – პროფესორი, კრიტიკოსი: „... არაფერი რომ არ დაეწერა ვაჟა ეგრისელს გარდა მერაბ კოსტავასადმი მიძღვნილი უბრწყივალესი ლექსისა - „შავლებო,” ქართულ მწერლობაში, როგორც დუტუ მეგრელი, იმ ერთი ლექსითაც დარჩებოდა...”

რევაზ სხილაძე – პროფესორი: „... მოვა დრო და ჭეშმარიტი პოეზიის მოყვარულები და თაყვანისმცემლები როგორც ჩარგალში, ასევე ხობში და ხორგა-



შიც იდლესწაულებენ ქართული ლექსის უკვდავებას...”

დარეჯან სხილაძე – მეცნიერ-მათემატიკოსი: „... ეგრი-სელის უდიდესი შემოქმედების ანალიზი და მათემატიკური სიზუსტით გაანგარიშება, მესამე ათას-წლეულის პრეროგატივაა...”

ივერი ტაბიძე: – უერნალისტი, პოეტი: „... დადგება უამი, გაუა ეგრისელი არა მარტო რუსთაველის, არამედ ნობელის პრემიის ლაურეატიც გახდება...”

ავთანდილ ტოროშელიძე – მეცნიერ-ფილოლოგი: „... ვაუა ეგრისელის პოეზია – ქართული მხატვრული სიტყვის ენციკლოპედიაა...”

ელიზბარ უბილავა – მწერალი; „... ვაუა ეგრისელის მინიატურული ლექსები – შეკუმშული პოემებია...”

ალექო თოდუა – პუბლიცისტი, აკადემია „ქალ-დეას“ აკადემიკოსი: „...კოლხეთის პრეისტორია და ისტორია გაგვიცოცხელა და ხელისგულზე დაგვიდო ვაუა ეგრისელმა...”

ვაუა ჭუბუსიძე – პოეტი: „...პოეზიის კლდეზეა მიკაჭვული ვაუა ეგრისელი და ვერასოდეს შეძლებს აწევებას...”



ტიტე შეყილაძე – მხატვარი: „... ზღვა კი არა,
ოკეანეა ვაჟა ეგრისელის შემოქმედება...”

ანზორ შონია – ისტორიკოსი, აკადემიკოსი: „...
დიდი კოსტანტინესი არ იყოს: - შენ პე! ვაჟა ეგრი-
სელო! პატარა ხობის წყლის პირას გაზდილო, დი-
დო „პოეტო ბიჭო!” მიხარია, რომ დიდი მდინარეების:
ხუანხეს, განგის, ოდერის და ვოლგის წყლის პირას
გაზრდილი „პოეტი ბიჭები,” რომ გასხამენ ხოტბა-
დიდებას!”

ოთარ ჩახუნაშვილი – ექიმი, აკადემიკოსი: „... ეგ-
რისელის უდიდესმა შემოქმედებამ დამარწმუნა იმა-
ში, რომ იგი მსოფლიო მნიშვნელობის პოეტია...”

ვაჟა ჩორდელი – მწერალი: „... ვაჟა ეგრისელმა
პოეზიის ცხრათავიან დევს ეშვები აუელვარა...”

ბორის ჩულგოვი – ვოლოგდა: „... ჩემი მეგობარი
ქართველი პოეტი – ვაჟა ეგრისელი, ფრანგი ან ინ-
გლისელი რომ ყოფილიყო, ამდენ ხანს ნობელის
პრემიას მიიღებდა”...

მარინე წოწოლაური – მწერალი: „... მოსკოვის
ლიტერატურის ინსტიტუტში ვაჟა ეგრისელი, რო-
გორც პოეტი ჩვენი სიამაყე იყო, ხოლო როგორც პი-
როვნება ჩვენი იმედი...”

შალვა დავითაშვილი – კომპოზიტორი, აკადემია,
„ქალდეას” ნამდვილი წევრი - აკადემიკოსი: „... ვაჟა



ეგრისელი უდიდესი შემოქმედება, პოეზიის ღმერთისადმი შეწირული კაცის ლოცვაა”...

ბეჟან ნადარაძა – ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი: „... ვაჟა ეგრისელმა ათასწლეულების იქიდან გამოიხმო ჩვენი შორეული წინაპრების – „ქალდეველების” მივიწყებული სული და „კოლხური ფსალმუნებით” გააცოცხლა”...

ლუარა სორდია – პროფესორი, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია, „ქალდეა”-ს აკადემიკოსი: „... საერთოდ, დასავლეთის თუ აღმოსავლეთის ყველა პოლუსის, ყველა განედის მომხილველი ვაჟა ეგრისელი ნაზიარებია მსოფლიოს გონის საუკეთესო მიღწევებს – პრეისტორიის, ისტორიის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, რელიგიის, მითოლოგიის, ბიბლიის, ქსოვილის ასპექტებით. იგი არის პოეტი – მითოლოგი. ისტორიკოსი, ალქიმიკოსი, ასტრონომი, ასტროლოგი, მათემატიკოსი, ეზოთერიკულ სიბრძნეს, მისტიკურ სიბრძნეს ნაზიარები, რომელსაც თვით აპოლონი უსინჯავდა მაჯას”...



გვამლი

ცეცხლის რისხებას გაქცეული,
მიიღობოდა კვამლი ცისქენ...
(საყელო კი ჩანდა ბუხრის.)
მიარღვევდა ნისლის სისქეს,
სოფელ-სოფელ
კვამლის შავი ჩანდრაბუხი.^{*}

1986

* ჩანდრაბუხი – ლუწი და კენტი.

1991-1993

სისხლი,
ცრემლი,
წესილი,
ჭირიცა და ვარამიც,
ომმა ბევრი მოიმკა,
ბედნიერი ვარ ამით –
კაცი რომ არ მომიკლავს!!!

1997



ვითარცა მაკიაველი

მატეუარა და გამცემი,
დიდებისთვის ისე იღწვის,
ვითარცა მაკიაველი.*
გულხენეში და გულპილწი,
გულდრძო და
გულმანკიერი.

1996

* ნიკოლო მაკიაველი – იტალიელი პოლიტიკური მოღვაწე და მწერალი (1469-1527).



* * *

გორგასალის ნაშიერნი,
მომხდურს განა ოქროდ გაშლილ
და ნაწამებ ქართლს მისცემენ.

არა,

ჩემო!
დღეს ისინი ჭვრებენ მტკვარში –
ქრისტესა და
ოთანე ნათლისმცემელს.

1999



№

სინათლისა და სიობოს მფრქვეველი,
ვარსკვლავია —
ცას მიშლილი...
სამარეში ისე ჩავა,
ვერ გაიგებს კაციშვილი,
მის ფიქრებს და
ავან-ჩავანს.

1996



* * *

ჩიქორთულით ნაწერ წიგნებს,
ვეღარ გაუსინჯავ გემოს,
რადგან ჭინჭარივით გსუსხავს;
მისი ლექსი,
შენს ლექსს,
ჩემო,
ხელზე წყალსაც ვერ დაუსხამს.

2001



მარდუქი

ვჰ,

პოეტო!

ეს წელიც კი,
არც წყალი გაქვს,

არც შუქი.

მაინც დასტრიალებ თბილისს,

ვით ბაბილონს მარდუქი.*

1989

* მარდუქი (მეგრ.) ბაბილონის მფარველი ღვთაება (ჩვ.წ. აღ. XVIII ს.).



ဗရိခမ္မဝေ တော်

မြေ့သုတေသန၊
အပေါ်မြေ့သုတေသန၊
မြေ့သုတေသန၊
အပေါ်မြေ့သုတေသန –

ဗရိခမ္မဝေ တော်မြေ့သုတေသန၊
အပေါ်မြေ့သုတေသန၊
အပေါ်မြေ့သုတေသန၊
အပေါ်မြေ့သုတေသန –

1995



* * *

აშ ერთადერთი ის დაგრჩენია –
მარადიული ბუნების ენით,
მაღლა ვარსკვლავებს რომ ესაუბრო,
რადგანაც იცი,
უკვე შენია,
მიწა,
ზღვაცა და ცათა საუფლო.

1977



მარტი

გაზაფხული მალე მოვა
და სიცივით დამჭკნარ ზამთარს,
კვლავ მოუღებს
მარტი ბოლოს.
ისე, როგორც დღეთა თოვა,
წარმართსა და მარტიროლოგს.*

1980

* მარტიროლოგი (ბერძ) – მარტვილი, წამებული, მოწამე.



დედის პატ-პოსტანი

მოხუც დედას,
სახლთან,
აქვე,
ბაღ-ბოსტანი აქვს მოვლილი,
ისე, როგორც თვალისწინი.
და,
მათრობელ სურნელს აფრქვევს
ომბალო და დარიჩინი.

1966



* * *

ვითარც პოეტი და მეომარი,
სამშობლოს ციდან, –

კვლაგ საავდრო ღრუბლებს
მიდენი –

მოუსავლეთში,
ჯანდაბას იქით...
ისევ გადარდებს საქართველოს დღე –
ხეალინდელი
და არ გაწუხებს რა ხანია,
სიკვდილზე ფიქრი.

2006



* * *

ზღვა ციცქნა ტალღას
ნაპირზე სტყორცნის,
ეთამაშება თითქოსდა ტენისს –
მთა კი დაცქერის მკლავდაგუნთული.
ქარი მზის ჩიბუხს ღრუბლის
თუთუნით,
ვით პაპაჩემი ხელმარჯვედ ტენის.

1965



ჩრდილი გადაუფრეს რომსა და პარიზს

წუხილითა და ზარების რეკვიტ,
სადღაც წარსულის იღება
კარი.

და სევდიანი ისმის მოტივი.

ჩრდილი გადაუფრენს
რომსა და პარიზს –
ეშაფოტის და გილიოტინის.

1986



მარადიული სინათლე მოსავს

იყერებიან მაღლა ყასიდად,
იციან სული,
ვინ, სად გაყიდა!

კარგად უწყიან თუ ვინ,
ვინ არი?

და... დაფნის ჩრდილში
ჩამომჯდარ მგოსანს,
ცით – მირონივით გადმომდინარი,
მარადიული სინათლე მოსავს.

1988



ლოგოსს, ლოგიკას

უზარმაზარი ხეა ცხოვრება,
 ჩვენ კი ფოთლები –
 მზით დახუნძლული,
 მიტომ ნიავის გვაკრთობს შერხევა
 და ნუ დავეძებთ ლოგოსს,¹ ლოგიკას,²
 თუ სიცოცხლეში თვალი ერთხელაც,
 სიკვდილისათვის აღარ
 მოგვიპრაგს.

1994

¹ ლოგოსი (ბერძ.) სიტყვა, ცნება, საზრი.

² ლოგიკა (ბერძ.) – მეცნიერება, აზროვნების ფორმირებისა და კანონების შესახებ.



60

ჰა, მიიწურა წელი სამოცი,
გრძელდება ბრძოლა
და ასპარეზი.
და გითვალთვალებს ჩუმად პარისი,
რომ შხამიანი გტყორცნოს ისარი
და ბრძოლის ველზე,
ვით კეისარი,
და გვეხმარი – უფლის ქიტონით,
მაგრამ შიშველ ქუსლს
ვერ პოულობს
და ვერც გიპოვნის.

2001



* * *

გახედეს ნაპირს...
ამოვიდნენ ზღვიდან
უწუმრად
და მიიმალნენ მერე ბუჩქებთან
გოგო და ბიჭი,
ნაზი და კოხტა,
რომელთაც ვნების სისხლი უჩქეფდათ,
ალბათ მიხვდებით,
მერე რაც მოხდა.

1961



* * *

ვეშაპივით ჩასანთქმელად –
ზვირთი აიზაფრება,
მერე აგიყოლიებენ,
მოქათქათე თოლიების
ზღვაზე გადააფრება.

1987



* * *

დედის ცრემლებით მორწყელმა,
ვერ იხეირა ნაყოფმა,
და,
იმ პატარა ბორცვთან,
შორს მიმავალმა არყოფნამ,
მოსწყვიტა ბოლო
კოცნა.

1980



ზამთრის იდილია

როცა ბუხარი თვალებს დახუჭავს,
სახლს აღმოხდება გულიდან
გმინვა.

და კართან ჩაიხითხითებს –
მერე სარკმელში შემოყოფს
ყინვა
თავის გაფიჩხულ გრძელ და
ცივ თითებს.

1972



პერა ლილი

დასავლეთით სპერის ზღვა და,
შუამდინარეთს მქონდა ბაღი
და ჩემი გზა იქით მიდის:
რომ იპოვოს მაშროებს,
მაღრიბს —
დაკარგული „პერა ლილი“.

1979



ღვინის ხე

წარსულიდან მოსული
დღე ნათობს და
ამაყობს
და ბარჩხალა მზით მიმხელს:
რომ კოლხეთში დაამყნო
ღმერთთამ ვაზი –
ღვინის ხე.

1981



მუშაკ-მოსხეთა და მოსინიგთა

პონტოს ზღვიდან ისევ ისმის –

ტკბილი ჰანგი – სიმღერის:

ხალდ¹-ხალიბთა,²

ძურძუჯ³-ჯიქთა,⁴

მუშკ⁵-მოსხეთა⁶ და მოსინიკთა,⁷

ქაშაგ⁸-გორგარ⁹-იბერის.¹⁰

1964

1,2,3,4,5,6,7,8,9,10 – პრეისტორიული ქართველური ტომები.



მეომრები

დრუბლები დრუბლებს,
როგორც დევები,
ებრძოდნენ ერთურთს ცეცხლის მახვილით.
და ჟივეივებდნენ ვარსკვლავები,
როგორც ბარტყები,
მკრთალი ცრემლები მთვარემ ითოვა
და მერე გვიან... ცამ
ცისარტყელა
ჩააგდო შუაში, როგორც მანდილი
და „მეომრები“ გაათითოვა.

1989



დილის პამანი

ის შემოვიდა ოთახში ფრთხილად,
ჯერ მამლებს აღარ ეყივლათ
დილა.

და დავაპირე აღგომა როცა,
იდგა კართან და თვალით მდაღავდა.
მერე...

არ გვქონდა ჩვენ თავი კოცნის
და არც ის გვახსოვს
როდის დაღამდა.

1968



* * *

გადაიწვიმა,
მაგრამ სივრცე არ გრძნობს
 სისველეს,
სინათლით სავსე აქვს მთვარეს უბე.
დამე,
დილამდე ადარ ისვენებს:
პირს უმახვილებს ვარსკვლავთა
 შუბებს.

1979



* * *

ბროწეულივით შუბლგაჩეხილი
მზე დასალიერს მიეწურება
და ჩამოწვება დამის სიმძიმე.
ვარსკვლავები კი,
ცად მოგვიხმობენ
თვალთა ციმციმით.

1989



მოციქულთა ჭირათბრძობა

— მწყემსო,
გეთსიმანიას,
გთხოვთ,
რომ აღარ წახვიდე,
რადგან ცუდს გვიგრძნობს გული.
მუხლმოყრით,
მოციქულნი —
„იყვნენ იესუსთან და
ზრახვიდეს “. (ოთხ.)

1969



ბაზაფხულის მახარობელი

ბუხარი რომ არ გაცივდეს,

თავზე ევლება ცეცხლს –

ალი...

სულ დახსნის ზამთრის ურდულებს:

ცის აიგანზე –

მერცხალი,

ერთს როცა ჩაიქდურტულებს.

1973



სოპოვების პრეზა სტიას ფრეში

სახეზეა ყველაფერი,
აქ,
ბუნებამ რაც იღონა,
რასაც თქვენი თვალი ხედავს:
სოკო – ფიჩხა,
ჯიმლა, ტრედა,
ლურჯკაბა და წითელკაბა,
ღრუბელა და ღარიღონა.


1964



მარტოზელა მკითხავი

კითხულობს დამით,
კითხულობს დღისით,
როგორც იტყვიან ჭიაა წიგნის...
მერე როდესაც აივანზე
გაწვება ჩრდილი,
ზამთრის ტოტივით შემოაქვს შიგნით –
წიგნების დასტა
შეჭმული ჩრჩილით.

1997



* * *

რწმენეა დაკარგა მოდგმამ ადამის,

თვით ზეციერსაც

აღარ უხრის თავს.

ოცნებაც გაქრა და გადაბგარდა,

აღარ მიფრინავს ის

მიმწუხრისას

და არ აჯდება ცის ტატნობზე

მთვარის ლავგარდანს.*

1969

* ლავგარდანი – კლდის კიდეზე გადმოშვერილი გაყინული ორგვლი.



ბაზაფხულის პერვანის გაღი

მწუხარის ხეზე შემომსხდარებს –
ურიამული აქვთ წიწანებს.
გაზაფხულის ჰყვავის ბაღი.
და აპრილი ქსოვს სიმწვანეს
ჭოლის წერილი –
ყაისნაღით.

1975



ჩვენი პოლიტიკის დიდო წარსული

რომ ეფარები ათასწლეულებს,

ვიცი,

და მიტომ ვყვირი: გამოდი!

ჩემი კოლხეთის დიდო წარსულო,

ვითარცა ეს ცა —

ვარსკვლავების კარ-მიდამოთი,
ხარ უშორესი

და უსასრლო...

1976



* * *

გაფრენილ დღეებ აღარ მივტირი,
არ მსურს ტკივილი

გულს დავიფინო.

იმედის ტოტზე დამჯდარს ჩიტივით,
როდესაც ყოფნა –

ხელებს ამიქნევს,,

არყოფნის ცაზე –

უსასრულოდ უნდა გიფრინო.

1964



* * *

ქარის თუ ქარიშხლის დაუინებით
და ელვის ცულით გაცელილი,
აქა-იქ ღრუბლების
დგას ზეინები,
და მეხით გადახნულ ცის
მინდორზე –
ყრია ვარსკვლავები,
წითელი სიმინდის მარცვლებივით.

1968



ზოროსმანი: „მოქეიფა შარაჩოდელები“

ზოგჯერ ცხოვრებას ცივს და
ამაზრზენს,
მზის სიყვარული ფარავს ოხერი.
სახელს დღეები უამთა ზღვაში
დიდხანს არწევდნენ:
ასი წლის მერეც,
ფიროსმანის ძველ მუშამბაზე
სუფრას უსხედან შავულვაშა
ყარაჩოდელნი
და ხელთ უჭირავთ სიყვარულით
სავსე ყანწები.

1970

მთვარის პუნძული

ტყე გადაიკივლა მიკიოტმა,
უცხო ხმა შეიცხადეს
ჭოტებმა.

ცის ზღვაში მთვარის ჩანს კუნძული.
დამის ხეს ემტვრევა
ტოტები,
ვარსკვლავებით ისეა დახუნძლული.

1968



წინელებს და იცვილებს

ზამთრის თეთრი ყაისნაღით
მოქსოვილი მთა და

ვაკე...

ეფინება ბინდი ველებს...
და მე მიკვირს:

თოვლის თეთრი სისპეტაკე.
ტრაურად რად მიაჩნიათ
ჩინელებს და ინდივლებს?!

1983



გიორგი პიროსი

დასავლეთიდან,
გიორგი პიროსი,
მოვარდა ქარი –
ქვეყნის ამკლები
და დამის ტოტის შესძლო დარხევა...
შუაღამისას ვარსკვლავთ კაკლები –
ადარა ესხა ცის ხეს ნახევრად.

1989



* * *

მოებმა სითეთრე გადაითოვლეს...

ზღვას ქარიშხალმა

გამოხდო სარმა.

ელგამ თეთრ ღრუბლებს შეახოცა

თითები სველი.

ციდან მომავალ ქალწულ წვიმას

უეცრად ქარმა,

იღლიაში პვლავ შეუყო ხელი.

1976



ტრფობა ვარული

სიყვარულით დამწვარი,
ქამს მიარღვევს მხიარულით
და პეთილი გული კი
გაწვდილი აქვს ხელივით.
ზოგს წვავს ტრფობა
ფარული,
და ზოგსაც გამხელილი.

1969



ზამთრის ღამე

ეს მერამდენედ ყივის მამალი,

მაგრამ არა და

აღარ თენდება.

ალბათ დემონმა მზე გადამალა.

რადგანაც ცეცხლად

ცას არ ედება.

მარადისობის არის წამალი –

ყოველი დიდი შემოქმედება.

1998



ზღვაო

დელვის დემონი ვერ დაგამარცხებს,

ვერ გადაგიმსხვრევს

ქარი ხერხემალს.

და... ვარსკვლავების ოქროს

საგარცხლით

დამე გიგარცხნის ზვირთთა კულულებს

და ზღვაო მთვარე —

მუხლზე გეხვევა.

1987



* * *

შენთვის არასდროს მითქვამს
ერთი ლამაზი სიტყვა,
რომ უსამანოდ „გეტრფი“.
და არც არასდორს გეტყვი,
ამას,
თვით უნდა მიხვდე.

1984



* * *

პოდიუმზე მიხვრა-მოხვრის:
ჩატარება გაკვეთილის,
ლაპარაკი ღირს ამაზე?!
რომ ყველაზე ხარ ლამაზი
და ყველაზე ხარ
კეთილი.

2000



* * *

ლამეულ მინდორზე ეყარა –
ლრუბლების კარვები აშლილი.
მოჭრილი ქარიშხლის ლეროდან,
ხუროზე მიმჯდარი
შაშვივით –
დილამდე –
ზღვა დუმილს მდეროდა.

1979



შუა ხორგის სასაფლაო

(ქალწული დების: ცეცუ და რახილი
ლიფონავების ხეოვნა)

ეპა, რამდენი წელი გასულა,
მაგრამ მზისდარი
ორი ასულის
სახელს, ვით წმინდანთ,
კვლავ იხსენებენ,
რადგან ისინი დგომით შემკობილან,
და მათი მსგავსი ჯერ არ შობილა
ხორგაში...
და იქ განისვენებენ.

1962



* * *

ჟამს მიმწუხრისას ზღვა
 ცინცხალ ზეირთებს,
 აღავლენს მაღლა
 დგომისადმი ლოცვად.
 დამე ვარსკვლავებს ცის მინდორზე
 ბაჯაღლოდ დაღვრის.
 გამთენისას თეთრ აფრიან მთვარეს,
 კით ლოცმანს,
 აუფეთქდება ფეხთაქვეს მზე,
 ვითარცა ნაღმი.


1992



აფგანისტანის მპრეზეთით

მიწად ვიქცევით,
მოსული მიწით,
როგორც იტყვიან,
გვარზე ხტის კვიცი.
მაგრამ დიდი და მაღალი დმერთი,
ისე კი არა,
ნამდვილად ვიცით,
რომ ერთს,
ათასში აღგვადგენს მკვდრეთით.

1989



* * *

ქაფის ვერცხლისფერ ჯაჭვით
დაბმული,
ჩუმად აკვნესებს ქარი ქამანჩას.
ზღვისპირ ლოცულობს ვიღაც
ნეტარი.
ჯერ არ მოსულა,
მთვარე არა ჩანს
და ზღვაში იწვის მზის
კელაპტარი.

1986



ა. გ.

სულო

ჯოჯოხეთს გამოქცევლო
და სამოთხეში შესულო,
გზები ვინ გაგიჩირადდნა?!
რა გეშველება შენ,
სულო!
ცოდვის ჭურჭელში ბინადარს.

2002



გირლანდა და გლიცერია

ფანჯარასთან თავ-პირს იმტვრევს
წვიმა,

უცებ ცას მომსკდარი,
შიგ ყვავილებს იცინიან –
თეთრ რაფაზე ჩამომსხდარი:
გირლანდა¹ და
გლიცერია.²

1971

¹ გირლანდა (იტალ.) – ერთმანეთს ჯაჭვივით ჩაწერდი ყვავილი.

² გლიცერია (ბერძ.) – ხვიარა მცენარე, ცის ვაზი.



პეტრის რაშის ჰიხვის

ცას როდესაც შეაწყდება

მკერდზე მნათთა

ოქროს ღილი.

მე, აქ მოსვლით ჭურჭელს თიხის,

მესმის...

ვისმენ სისხამ ღილით –

პეტრის რაშის ჰიხვინს.

1988



მეგალითები

ნაგები და ნაშენები –
ზვირთოა შავი მეგალითით¹
ზღვები,
გახლვათ ბინა ქარის:
სავსე ბადახშ-მარგალიტით,
აქატით და
მინანქრით.

1984

¹ მეგალითი (ბერძ.) უზარმაზარი ქვებისაგან
აღმართული ნაგებობა. (აკლდამა) სამლოცველო.



შენი სახელი

უკვდავების „მნახველნი“
და პარნასზე „წვეულნი“,
ქართულ სიტყვის გენიას,
ო, როგორ ეღლაბუცენ...
მაგრამ შენი სახელი,
ვითარც დამშვენებდა –
ახალ ათასწლეულის
პოეზიის თავფურცელს.

2001



* * *

ქრისტეს სისხლი...

კვნესა...

ოხვრა...

და ცრემლები ახლავს ობლის –

სახარებას მარკოზის და

იოვანე მახარობლის.

1962



0უდას ამბორი

უამს ამბავი მიაქვს ტივად –

იმ მთისა და

ამ გორის.

ოცი საუკუნის მერეც,

ვითარც ქრისტეს ისევ მტკივა

მე, იუდას ამბორი.

1960



* * *

ჩემი ზღაპრული კოლხეთის –

ცითაა გადახურული...


არც ლარი უნდა,

არც ხაზი,

ვით მეგრელი და გურული,

რომ ქართველია აფხაზი.

1993



* * *

რაც მიწისაა რჩება მიწაზე –

ხორცი და ძვალი,

სხვა არაფერი.

სული კი ცისკენ ილტვის ციური.

და ჩვენ გუყურებთ,

როგორ იცვლება,

ამქვეყნიური,

იმქვეყნიურით.

1997



ქარონი

მოულოდნელად მოგვადგება

კარზე ქარონი,*

და მოგვაყენებს ნავს თუ ბაიდას,

ჩემო ლურჯოვალა იასამანო.

რაა ცხოვრება,

მხოლოდ ერთი მოსმა ნიჩაბის,

ერთი ძახილი:

ჰა, და ჰაიდა!

მერე გზა გრძელი,

უსასრულო და უსამანო...

1960

* ქარონი – მიწისქვეშეთის მენავე, რომელსაც მდინარე სტიქსეზე გადაყავს მიცვალებულთა სულები.



* * *

ციდან ამაყად გადმომზირალი,
ყოვლის მეუფე – არის განგება,
მის ჩრდილში ვეძებ მე თავ –
მისაფარს.
და... ზეციური ესე ჰანგები –
გე შემიქმნია
არაფრისაგან.

1974



ცა არის მხოლოდ მარადიული

არარაობის გზებით მოსული,
ყოფნა-არყოფნა
და პატიება,
ვით არსთა სული ცისკენ იურვის,
არც მიწა,
არც ზღვა,
აღარც მთიები,
ცა არის მხოლოდ მარადიული.

1984



გულს უფრეს სიცხე თბილის

საცალფეხო ბილიკებით –

კოჯრის სიო ჩამოივლის

და ვერ გავა ხიდზე

ბეწვის.

გულს უწევებს სიცხე თბილისს,

მთაწმინდას კი შებლი

ეწვის.

1993



* * *

ცას გამყივარი თოვლის დუმილი
და მწოლიარე მთები –

ორსული;

შიში, სამარე და მიტოვება,
მარადისობის ციდან მოსული –
ხსოვნის მზებით

დაითოვება.

1987

სალამური და ლარპემი

კოლხური ციოთ მოფრენილი
და ათასი ხმის დამჭერი,
გულში ინთებს მოიარებს:
სალამური და ლარპემი,
წონგური და სოინარი.

1978



* * *

მზისა და მთვარის შავ-თეთრი პინა,
დღესა და ღამეს წონის
და წონის,
ისე, კით ათასწლეულთა წინათ.
და ეს ცხოვრება ყოფილა
თურმე:
შიშის...

დაკრგების...
არაფრის პოვნის.

1988



* * *

დრუბლებმა წვიმების ჩიჩახვი
დაცალეს,
არ ჰქონდა სხვა,
მეტი არჩივი,
რადგანაც ელვა საკმეველს უკმევდა.
ზეცამ მერე ძლივს გამოაჩინა –
ვარსკვლავებით ტატურებული
გულ-მკერდი.

1981



* * *

ელვის ოქროს სიმებიანს –
მოვარე მოჰგავს აფხიარცას,
კოლხურ დამის ნაშობი.

და,

ზღვისკარად ნაწვიმარ ცას –
ვარსკვლავები აშრობენ.


1974



* * *

ჩემს ყოფნაში კი ბევრჯერ,
იჩქითად,
არყოფნამ ჩუმად შემოიჭყიტა,
მაგრამ რომ მნახა,
ლექსს ვწერდი და...
აღარ მეცალა.
მწუხრის კარები მიიხურა და,
მზეს გაედეგნა და
გამეცალა.

2003



ამობავთ მთვარე საკეისროთი

სიჩუმეს თავი არ დაანებეს
ღრუბლებმა,
ადრე მეს რომ ისროდნენ,
ახლა მეგზურად ახლავთ ქარები.
მუცელს უჭრიან ფეხმძიმე ცას
ელვის დანებით,
ამოყავთ მთვარე საკეისროთი
და დილამდე დაატარებენ...

1969



* * *

ღელვამ ზღვის ფსკერზე დაბუდებულმა,
ნაპირზე შური ბევრჯერ იძია,
ელაპარაკა ენით ბურგვნილით.
ქარიშხალს ჯერ არ გაუდვიძია,
ზღვას გვერდზე უწევს
ისევ გულგრილად.

1963



* * *

ალბათ ჯვარზე გაგაკრავენ

და მით უფრო გალადდები...

შემოსილი სხივთა მარჯნით –

ქრისტესავით ამაღლდები

და დაჯდები –

უფლის მარჯვნივ.


1998



ჩვენი ფიქრები

მზით შემოსილი ჩემი ფიქრები,
არ იკარებენ დილის
ცივ ნიავს,
და კლდიდან-კლდეზე ხტიან არჩვებად...
ამ ციცქა ლექსებს
დრო ისე მიაქვთ,
სიკვდილისათვის წამიც
არ მრჩება.

2004



* * *

ხმა ადარ ისმის დილის მნათობის,
ვარსკვლავები კი მთვარეს
ართობენ...
მიწას დაცქერის ცა გალურსული:
მუხლებზე გაშლილ
ზეირთების გრაგნილს –
კითხულობს ზღვა დ ნაპირთან თარგმნის
და მაღალ კლდეზე აწერს
დურსმულით.

1968



030ს იმ მრთმა

უკეთესია —

განგების მსგავსად,

ყველგან იყო და...

არ იყო არსად,

იცის იმ ერთმა და სხვამ არავინ,

რა ჯობს:

ხმაურით ოუ

უხმოდ წასვლა!!!

2005

* * *

ილორს შორიდან გუცქერი
და ოხვრა მესმის გეგუთის,
ერთ გაფრენაზე ისრის,
მე,
რა სამოთხე მეკუთვნის,
ჯოჯოხეთის გარ ღირხი.

1993



* * *

იოეგა დიდი და პატარა,
ლიაა სალარო,
და ვიღაც გაჰკივის: ლაჩარო!
არყოფნის გაგზალზე დგას
მატარებელი,
ბილეთის აღებას არ ვჩქარობ!

2007



* * *

გმირთა სიცოცხლე არის სარკე,
ქვა-სპეცალი და ქვა-ფიქალი,
სანამ კოცონზე დაწვავდნენ
უანა დარკის,
თქვა ორი სიტყვა: „წმინდანო იესო!“
და...
წვენ დაგვიტოვა საფიქრალი.

1972



ოთხი დრო

ვით ადამიანს,
ოთხი დრო აქვს თვითონ
ბუნებას:

გაზაფხული,
ზაფხული,
შემოდგომა და ზამთარი:
ბავშვობა,
ყრმობა,
სიჭაბუკე და სიბერე.
ვიფრენთ და ვიცეკვებთ,
ვიტირებთ, ვიმდერებთ
და... ცხოვრებასაც ვამთავრებთ.

2007



ლოდი

ცხოვრება თურმე ლოდი ყოფილა,
რომელსაც ბნელში –
სადღაც მივართმევთ.
აქვთ დიდი ბრძოლა, სანამ ინათებს:
მზესა და მთვარეს –
ბებერ გიგანტებს
და დღე და დამეს – ძველ გოლიათებს.

2006



* * *

ჩემს სიგრძე სანთელსაც ავუნთებ
ზეციერს...

და ზღვასაც გავცურავ,
მის ნაფეხურებსაც კემთხვევი...
და შევთხოვ, რომ მომკლას
კაცურად,
კერძი არ გამხადოს –
შემთხვევის.

2006



* * *

წუთისოფელში წუთით მოსულებს,
გამჩენის მიერ მოცემულ ფიციოთ,
ცხოვრება ჩვენი,
ჩვენვე გვებარა.

სიცოცხლის ყველა კუნჭული ვიციოთ,
სიკვდილის არა,
გაგებება რა.

2005



* * *

ცად როდესაც ავმაღლდები,
(ამას ისევ გეჩემები.)
მტრები შურის ბანგს დალევენ.
შენ კი ერთხელ გეჩვენები,
ვითარც ქრისტე
მაგდალენელს.

2004



ისეგ ვარსმან ძგელი

სამყარო ჩანდა ციხეგზოჯიდან,
შორს გავარდნოდა
სახელი ეგრისს.
მაგრამ, როს ქართლის ხელმწიფე
ფარსმანს,¹
რომში, დვოის² ველზე დაუდგეს ძეგლი,
წამს ქართველების
იმატა ფასმა.

1964

¹ ფარსმან II-მ ქველი (II ს.).

² დვოის – იგულისხმება მარსის ველი.



პილიგრიმიზით

როცა ბუხართან ჩემს წიგნს
გადაშლი,
ალს დაინახავ,
როგორც დადარში.
და ივლი მერე უდაბნოში
გზა დაკარგულ პილიგრიმივით
ლოცვით დაღლილი
და სახეზე უფლის დიმილით.

1997



გ001 ბრძანა ბრძენება არაგმა

ჩვენი სიცოცხლის შლეგი მდინარე
მიჰქრის...

და განა მიიმდოვრება.

და ვითარც ბრძანა ბრძენმა არაბმა:

— ამქვეყნად მოსვლა და ცხოვრება,

არა დირს ამდნე დავიდარაბად.

2001



ოჯალები

უფლის ხეა და ცისგენ მიიღიტვის,
ვერსად იხილოთ
სხვა ამნაირი,
თუნდაც განლიოთ საუკუნენი.
ჩემს ოჯალეშთან რა „რაინის“
დვინის გინდ გემო,
გინდა სურნელი.

1988



მართალი კაცი

თუნდ ზღვის გადაღმა,
ვინმეს თუ უჭირს,
არ ეკარება შენს პირს დიმილი.
შენ ხარ მართალი კაცი –
ლომგული:
რომ სხვათა ჭირი და სიმძიმილი,
შენს მართალ გულზე გყავს
გამობმული.

2004



ბრწყინვაშვილი გარსპოლავი

ქვე,

რამდენი წელი გასულა,

ხსოვნა კი მაინც მიარღვევს

უკუნს –

იქ,

სად ბავშვობის ბრწყინვაშვილავი

და...

მიპარვისთვის რომ ცემა ძუკუმ,

იმ კოჭლი ძარლის მესმის

წევწევი.

1997



შემოდგომა პოლიტიკი

ეზოს კუთხეში ბაღჩა-ბაღს
 გულმკერდი გაუდედია,
 თითქოს და ფარულ ომშია:
 პირახეული ყურამდე –
 მეგრული „ჩაფლა“ ლეღვია;
 სიყვითლით დაავადებული
 ის კი,
 კოლხური კომშია.

1964



* * *

სიბერე რომ წამოიწყებს,
სიკვდილიც მის ამყოლია
და ედება ცას –
მიღისფერი.
ადამის ძეს არ ყოლია,
სიბერუნე დიდი მტერი.

2007



အုပ္ပန်းလောင် မွို့ ဆုတ္တန္တာ

သာယျမ်းကြောလီ ရှာရာဂာနိုင်း

အဖွဲ့ မွို့ –

ဂုဏ်သံဃာလီ

ရွှေ ကျော်စေး မြောက်ခံ ဒေဝါယာ

မြောက် ပြန်လည် ရွှေမြောက်

စာမျက်နှာ –

ဂုဏ်သံဃာလီ မြောက်ခံ နာတော်

1989



ჩემი გავშვობა

ქალაქის არა,
სოფლის ნაშობი,
რომელიც ძაკას შუგას ებარა.
ზოგჯერ სიზმარში შემოირბენს
ჩემი ბავშვობა,
თითქოს და დედას გამოეპარა.

1988



დავით აღმაშენებელის

მეუფეო! –

შენს წინაპრებს:

არც ქუჯის¹ და

არც ადრეკის,²

ყოვლის მმუსვრელ მტრის წინაშე,

არ უგლიან ქედ-დადრეკით.

და შენც მომხდურს

სისხლში ბანდი.

მით განახენენ საქართველოს

კარიბჭენი,

ნიკოფსიით – დარუბანდის.

1963

¹ ქუჯი – გერისის ერისთავი (IV ს. ჩვ. წ. აღ.)

² ადრეკი – (იგივე მირდატი) ქართლის მეფე (I ს.).



* * *

კომეტები თავს იკლავენ...

და ჭრიალებს დამის კარი...

ჩანან მთები ბეჭებ მსხვილი.

სძინავს მიწას...

და ცას მთვარე,

ცხვირზე აზის მეჭეჭივით.

1962



სქილა და ქარიბდა

ბარები და წერაქვები,
საფლავის თხრას ვერ
უდიან,
სამყარო გაღარიბდა.
რადაგნ ყოფნა ბერმუდია,
სკილაა და
ქარიბდა.

2001



* * *

მაინც სხვა არის ლტოლვა
ზეცისკენ,
ცათამბჯენ კოსკებს ორცა ავიგებთ,
მერე სიკვდილზე ფიქრებს
გუნდებით.
ჩვენ მკვდართ დუმილს
ვეღარ გავიგებთ,
სანამ თვითონვე არ დავდუმდებით.

2004



* * *

როცა მეხმა ჩაირბინა
და როს ელგამ ცას უბრწყინა,
ღრუბლები შეიშალნენ...
ერთადერთი გარსკვლავი კი –
ცას უბრწყინავს,
ვით სამკერდე ნიშანი.

1964



* * *

გაყინულ თოვლში –
გატეხილ ბოთლის,
ყრია ნასხვრევები
მაჭრიანი.
ნიჩაბით ფხეკს ვიღაც,
ხმაა ისეთი,
თითქოსდა ლოთი
კბილებს ადრჭიალებს.

1965



* * *

მთვარე მიჭირავს პერისკოპივით,

და... ჟამთა დიდი ჩანს

ოკეანე –

ასწლეულებით ჩალეწილი

და ჩახერგილი.

გადავიწყდება მეფობს თავხედი.

ხსოვნა კი მაინც თავს

ამოყოფს აისბერგივით,

კოლხეთის დიდი წარსულისკენ

რომ მიმახედოს.

1966



რშსთაველის ავენიუ

რესტორნებსი ყაყანია,
სიყვარულით მთვრალები კი,
ადნებიან ერთურტს ფიცად,
ტხოულობენ კვლავ მენიუს.
და – ჭადრების ჯარი იცავს,
რუსთაველის ავენიუს.*

1984

* ავენიუ (ფარნგ.) – პროსპექტი.



ფიბი: „პოლჩური ჟსალმუნები“,
(ტომი მეორე)

აჲა, ნაყოფი –
მზესავით რომ ამოთავთავდა,
ხოლო მიმწუხხრმა შეაყარა
გარსკვლავები –
ცას მარცვლებივით.
„ – მე ვარ პოეტი!“ – თქვი და, გათავდა!
სიკვდილის გარდა სიტყვას
ვერვინ შეგაცვლევინებს.

2006



* * *

მზე დამესა და ათასწლეულებს,
ისევ მიარღვევს

გილგამეშივით.

მთიები სივრცის კარებს აღებენ.

მთვარე შორეულ ციო

გალეხილი,

სევდას ქსოვს სხივთა ყაისნაღებით.

1976



* * *

ღამეული ღდეები,
შენ კვლავ უნდა ალამპრო,
(აღარ უნდა შეგაქრთოს
მოშურნეთა უარმა.)
ისე, როგორც ალან პომ.¹
ანდა ვით ელურმა.²

1971

¹ ედგარ ალან პო – ფრანგი პოეტი.

² პოლ ელური – ფრანგი პოეტი.



* * *

გიპყრია მთვარის კითარა
და დამის იქით იურვი...
ნებით უფლის და განგების,
ვითა მანანა ციური,
გცვივა —
გზიური ჰანგები.

1993



მიგალ ღვევეთან საომრად

ღამეს ვჭრი მთვარის ნაჯახით
და მოებს ერთმანეთს
ვაჯახებ:

ჩემში ულვეი ჯანი ძეგს.
მალე მიწასთან ცა მოვა.
და ვითარც დარეჯანის ძე
მივალ დევებთან საომრად.


1974



* * *

ისე, ვით მიწისქვეშა დინება,
ვნება,
ვითომცა თავს იმძინარებს,
მაგრამ მე ვიცი ახალგაზრდა
წყვილთა გულისტქმა,
ო, როგორ მოჰვავს –
ბორგვას მდინარის
და ადიდებას გაზაფხულისას.

1981



ანალი მთვარე

არ ჩანს,

მაგრამ მათ იციან,

დამის მიღმა,


ბნელ – წკვარამში

მზე, რომ თვალებს აფახულებს...

და კოცნიან გარსპელავები

ახალ მთვარის – ნაფეხურებს.

1972



შარსულის მქონე

ნერონის¹ და არც სელეგპიდების²

სპა,

ცეცხლს ცაზე რომ დროშად

კიდებდა

და არც ატილას ზვავი – ჰუნეთა.

აღარც ნოე და აღარც ქარონი,

არამედ წარდგნას გამოქცეულ

საუკუნეთა –

აღვიძებს ღამეს ფლოქვთა თქარუნი.

1980

¹ ნერონი – რომის იმპერატორი (37-68 წწ.).

² სეივპიდების სახელმწიფო დინასტია (312-64 ძვ. წ. აღ.) დააფუძნა სელესპე I ნიკატორმა (ალ. მაკედონელის მხედართმთავარი).

სული პოლიშვილი

დღე ერთია და კარებს წარსულის,
ათჯერ კი არა,
ასჯერ მოვხურავ,
მის სიდიადეს აღარ ვნებდები,
მაინც ცოცხლდება
და შემოდის სული კოლხური
ჩემში მითების
და
ლეგენდების

1968



* * *

როცა სიცოცხლე,
სიცოცხლეს არ ჰგავს,
ის უწყლოდ გამხმარს
მიაგავს ნარგავს,
რომელიც სიკვდილს ფესვებით ქარგავს
და სამუდამოდ ყველაფერს
კარგავს,
როცა სიცოცხლე, სიცოცხლეს არ ჰგავს.

1994



მჰა, მსერა

წიგნები არა,
აპა,
ესერა,
შენი ლექსებით სავსე ბეღლები
და ტაროები –
ოქროს ბწყარები,
რომლეთაც მუხლი ადარ ედლებათ
და სამოთხისკენ
მიწანწყარებენ...

1988



* * *

მამის საფლავთან ბალახს,

ცრემლად კიდია ნამი...

რაც მე,

საკმეველს ვუძმევ –

ხსოვნას მოხუცი მამის,

ოცი წელია უკვე.

1985



უვეზურა

სკვიასთან და კოდორესთან
წყალს რომ მიაქვს
ნება-ნება,
ეს ფოთლები რუს ეხურა,
თებერვალი ზამთარს ყვება,
ფეხმოკლე, ვით უფეხურა.*

1987

* უფეხურა – გადამფრენი ფრინველი.



პეპლა

რომ დაფარფატებს სასაფლაოზე
ფრთებს ხან დაკეცავს
და ხანაც გაშლის –
ჩუმად და
მორცხვად –
პეპელაა თუ სული არის
უმანქო ბავშვის,
რომელიც გუშინ აქ დატოვეს
პატარა ბორცვთან.

1994



ლუფთარ კუდაგა

სიყვარულის ხის მაღალ ტოტიდან
მოკრიფა სიტყვის
მწვანე ნეკერი,
იმ დალოცვილმა ლუფთერ კუდაგამ,
მერე ცას არა,
ლექსის კალთას
გამოეკერა
და ამით თავი გაიშეკვდავა.

1989



ვგიხვია

ტირილით მივლენ ზღვასთან წვიმები
სველი ქარები,
ხელკავებით მიაცილებენ.

ზამთარია და წყალი ციფია.

საწყალ წვიმებს კი
ყინულებზე ფეხი უსხლტებათ
და ქარაფიდან წყალში ცვივიან.

1989



* * *

გადაუქროლებს ათასწლეულებს,
ვითარც მიმინო ან

კაპოეტი.

ჰეროეთ ქალბატონ თამარ დაუშვილს,
რომ ქვეყანაზე დიდი პოეტის
სულს,

ფრენას ვერსად,

ვერგინ დაუშლის.

1989



ორგანის ღამე

სიმყუდროვეში –
ჩქამზე ალგეთის,
შეიშმუშნება ძილში ორბეთი,
და ხმა გაკრთება სადღაც
ტყიურის,
ვით განთიადის წინამორბედი,
ანდა პანგები უვერტიურის.*

1969

* უვერტიურა (ფრანგ.) – ოპერის, ბალეტის და ხევა საორკესტრო შესავალი.



ოლოლი ოლოლს

დამის ტოტებზე დამენათევარი,
და მზის ფეხის ხმაზე ანაფრენი,
სადღაც ეძახის ოლოლი
ოლოლს:
სიყვარულია,
სხვა არაფერი
ყოფნა,
არყოფნის თავი და
ბოლო.

1996



სპიკტრა და ტახტი

ჰელიოსის ძემ,
ვითარც მზის შვილმა,
მთავრის ფიალით
მზის მადლი შევსვი
და ამიტომაც უკვდავი გახდი.
სხვა არაფერი...
ეს ციცქა ლექსი –
ესაა შენი სკიპტრა და ტახტი.

1998



0 ღ ე ა ლ ი ს ტ ი

დაბადებიდან გამოყვა შიში

უფლის და...

ამას ყველგან ავლენდა,

მუდამ ბაძავდა ბრძენ იდეალისტს.

და ლოცვად ცაში სულს

აღავლენდა,

ეშმების ცხირწინ

მუშტის ტრიალით.

1988



* * *

აპა, ნოხტე

და იკორთაც,

აღარა ჩანს სააკაძე,

მტრის ცხენს და კაცს შუა

რომ ჭრიდა.

მილ-ბურანში ბორგავს ქართლი

და ამოაქვს

ცას სინათლე —

მთვარის ჭიდან.

1982



ეივალთან

ეიფელთან მელანდება:
ისლიო დახურული ფაცხა
და მეგრული ხერკვ,
ჭური,
შუაპერა და ცეცხლის სვეტი.
გურულების კრიმანჭული
და სვანური პირუეტი.*

* პირუეტი (ფარნგ.) – ცეკვაში ცალი ფეხის თითის წვერებზე სრული შემოტრიალება.



მარადისობა

მზე რომ მზე არის,
მის სახესაც ვხედავთ
გაცრეცილს,
უნაოჭდება მთავრის ნაკვთები.
ერთადერთია მარადისობა,
რომელსაც რაა,
ერთი ნამცეციც,
არ ემატება და არც აკლდება.

1986



ა. გ.

* * *

მზე ჩავიდა და სასაფლაოზე
მეუფობს მწუხრი...

და ვფიქრობ ახლა:
ხშირი მისვლით ხომ არ შევაწუხე
ჩემი ძმის სული,
თავთან დარგული ვარდი
რომ გახმა?

1993



ქოვნა, არქოვნა

მირიადობით მკვდრები....

ცოცხლები....

ორიგესა ჰყავს თავის სამყოფი, –

ჩაიჩურჩულა მზემ კმაყოფილმა:

ეს იმიტომ რომ ყოფნა,

არყოფნა,

თურმე ღვიძლი ძმები ყოფილან.

1996



* * *

დმერთი თავის წილს ყველას
არგუნებს:

დირსეულ პატრონს
რომ უერთგულოს –
ჰეფესტოს ჯაჭვი ლოკვით გაწყვიტოს,
ეს ამირანის ყურშას
რგებია...
სძინავს ბუნებას...
და ვარსპელავები,
დამის ფხიზელი გუშაგებია.

2004



* * *

ყველანი სიკვდილის შვილებია:
ქრისტანი თუ
მადიარი,
ზოგისთვის სიკვდილი გვიანი,
(უფრო სწორედ კი მადლი არი!!!)
მაგრამ საცოდაობაა
ადრიანი.

2004



* * *

ესეც პოეტის ბედი იქნება,

იქნებ იქუხოს,

იქნება გაწვიმდეს!

გერ შეაშინებს ღრუბლების სისქე.

შოთას პროსპექტით

და გზით მთაწმინდის –

ის ამაღლდება

შორეულ ცისკენ.

2003



* * *

თავს დაბრუნავდნენ ცეცხლის
მახვილით —

შავი ღრუბლები,
როგორც წარმართნი,
შორს ჩანდა მთვარე, ვით პატიქბა.
როდესაც მოკვდავთ
ღმერთი წაგვართვეს,
მაშინ ლოცვები გაიფანტნენ ცაში
მთიქებად.

1963



* * *

ლეგენდებიდან ისმის კივილი,

ეს ალბათ,

ზევსი ჰერას ამწარებს,

რადგან არავის არ ეშინია.

ღამე კისერზე გამოაბა

ელფის ბაწარი

მთვარეს და მიყავს ლრუბელ –

ლრუბელ

როგორც ფინია.

1998



სშლი

უფლის ბოძებულს,
უფალს უბრუნებს,
ადარ პყოლია მას სხვა
ბატონი
და სული ძვრება კბილთა მესერში, —
მიარღვევს მეცხრე ზეცის
კაბადონს,
თუმც ხმა ჩუმი აქვს, როგორც
„მესერშმიტს.“

1979

* * *

(გარიანტი)

ფერიასავით დაღლილს ალერსით –
ქვიშაზე მზინარ
სკელ სანაპიროს,
როდესაც ქარი ეამბორა,
როგორც იუდა.
კვლავ გაიოცა თეთრად აპრილმა,
ზღვა აღელდდა
და ანერვიულდა.

1963



ერთ ნაბიჯზე პრის სამოთხე

ერთდღოს წყალობდათ მადლი ალაჟის,
მსურველთ ფესვების

შენის ამომთხრელთ,
მაგრამ, შენ უამთა უსამანო
ზღვა გადალახე
და, აი,

ახლა ერთ ნაბიჯზე
არის სამოთხე,
სადაც ბიბინებს უკდავების
მწვანე ბალახი.

1986



პრეზიტორის დიალი გზები

სივრცეს აურეოლებს ყივილი ორბის
და...

კავკასიის მაღალი მთები
დაფარულია ლეგენდების
ნისლით და ბინდით.

პრეზიტორის დიალი გზები,
რომში კი არა,
კოლხეთში მიდის.

1971



მეცე გახტანგ გორგასალი

აღმოსავლეთ-დასავლეთით,
განაგებდა დიდ ქვეყანას,
მეფე ვახტანგ გორგასალი.
მტრის თავები –
ძირს ეყარა,
შემოდგომის გოგრასავით.

1974



* * *

შენი გონი მარადის ფხიზელია,

(ერთ ადგილს არასდროს

ჩერდება.)

და სხვებს ჰგონიათ მძინარეა.

შენი ლექსი მიწისქვეშა მდინარეა,

რა – დღე და რა – ხვალ

ამოჩანჩქერდება.

1964



* * *

შენ არ უშვიხარ ქალწულ
მარიამს

მზის ჩასახული ნაყოფისაგან.

არა,

დედ-მამის ოხვრისგან იშვი
და მათ თვალებში ედგათ
სიკვდილამდე,
შვილის გაჩენის სიხარული,
სიტბო და
შიში.

1972

* * *

ელვის ჯვარი როდესაც,
სივრცემ გადაისახა,
გზაც გამოჩნდა
გოლგოთის.
და... აივსო ცის ხახა –
გარსკვლავების ოქროთი.

1974




* * *

თუ ჩემს ლექსს ძველი ქურთუკი
მოსავს

და გაცვეთილი აცვია ხამლი,
ნუ გეგონება მეორე მოსვლა,
ანუ ჩამქრალი ვულკანის კვამლი.
არა!

ესტუმრა ხორგას და
თორსას,
რომ მოესმინა ყიფილი მამლის.

2001



* * *

ზოგ პოეტს,
 ვიცი თუ რა აბრაზებს:
 დაკეტილია ოცნების ცის
 ლურჯი დარბაზი,
 სადაც მან ერთი ღამე რაა,
 გერ გაათია.
 რომ მისი სახე არ „ახატია“ –
 სიშორეს მიკრულ
 მთვარის აბრაზე.

1990



ტახტი და სპირტრა

მეფე გიორგიმ¹
და ბაგრატმა² მეფემ – ტიტანმა,
მიატოვა ზღვა და გუდავა
და მტერთა ჩვენთა მოსგუდავად
ტახტი და სკიპტრა
ქუთაისში გადაიტანა.

1993

¹ მეფე გიორგი პირველი – ეგრის-აფხაზეთის მეფე (861-868 წწ.).

² ბაგრატ მესამე ბაგრატიონი – ეგრის-აფხაზეთის მეფე (მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა (978-1010 წწ.).



* * *

იყურება —
მეცხრე ცის იქიდან,
ძმაპაცურ ქებას და
დიდებას ნაჩვევი.
თუმცა მისი ვეება წიგნიდან
არ იკითხება არაფერი,
გარდა სარჩევის!

2003



შენი პეგლი

(ვარიანტი)

მერეხს და წარღვნას გადარჩენილი
ეს ქვეყანაა —

ოცნებების ზღვა ოზისთა,
სადაც უფალი უნდა ოქროს
ცვარს აპკურებდეს.
შენი ძეგლი კი —

მზის სვეტიგით
იდგეს ფაზისთან
და აიეტის ზღვაპრულ კოლხეთს
გადაჰყურებდეს.

2001




ოხორა და ობვაჯე

ლეგენდიდან მოფრენილი –
 კოლხეთის და
 კოლხთა მტრობა –
 ათასწლეულებით მოდის...
 მიტომ ბევრჯერ მოქაჩეს!
 ძვრა ვერ უყვეს...
 რადგან ოდით,
 იყო კოლხთა –
 ოხორე¹ და ობვაჯე².

1965

^{1,2} – სამოსახლო და საბუდარი (მეგრ.)



* * *

არდავიწყების მზით შემოსილი –
მესმის დავითის მე
„ფსალმუნები“.
და ელვა მახვილს ლესავს
ქარებთან.
ზღვა, ვით მიჯნური მესალბუნება,
მოსული ჩემთან –
შესაყვარებლად.

1976



შებური და ტაბაკი

მამა მუდამ თამაღობდა,
იჯდა, ვით ათაბაგი.
(ამშვენებდა „ქუხნას“ ლარჭა)
და წინ ედგა, როგორც ხარჭა,
ყებური¹ და
ტაბაკი.²

1971

¹ ყებური (მეგრ.) სუა ქერა.

² ტაბაკი (მეგრ.) დაბალი, ოთხფეხა გრძელი მაგიდა.



* * *

მიმწუხრისას სოფლის ბოლოს,
სულმილევით გველის ბორცვი,
ერთნაირი გვმართებს ვალი:
სიყვარულის და
სიცოცხლის,
წარსულის და
წარმავალის.

1990




* * *

წვიმებით სველ ქარის ყურებს –
ხევ-ხევ მიაბარტყუნებენ
ნისლეულთა სპილოები.
ელვა უჩანთ მათ ეშვებად.
ცის ხეს კოდაგს ვარსკვლავი და
კიღუსავით* არ ეშვება.

1969

* კიღუ – (მეგრ.) კოდალა.



0სეზ აღდგომის პუნქტზე

დელაგს წყნარი ოკეანე –

გხარობ –

გზას რომ მიღამპრებენ,

ასევე თან ვსკდები გულზე,

როს აღდგომის კუნძულებზე,

ჩემი დიდი წინაპრების –

კოლხთა ქანდაკებებს

ვუმზერ.

1983



* * *

ღამით მიმავალ მზის შიშით,

მთიები ხელში ალლვება,

დრო და უამს –

რკინის მკვნეტავს.

ზღვას კი ამდენი ტალღები,

საიდან მოაქვს ნეტავ?!

1997



პელიონის ძის გოლიონი

წინაპართა ძვლებით ნათეს –
პელიონის ძის კოლხეთში
ვერ დაუვლის მტერი
„ხორუმს“,
თუმც სურს,
იგი,
რომ გახადოს –
ნაოხვამე,¹
ნაოხორუ.²

1977

¹ ნაოხვამე – (მეგრ.) ყოფილი სახაფლაო.

² ნაოხორუ – (მეგრ.) ნასახლარი.



* * *

ცა — ქართული,
მზე — ქართული
მოვარე —
ჩოხა აკვალთული,
მოწყენილი იხედება.
მოქათქათე ღრუბლებმა კი
გადაუფრინეს ლიხს —
გედებად.

1966



* * *

ჯერჯერობით ხახა მშრალი,

შორს სიკვიდილი

ჩანს უძღები.

გელარ აცხობს ის ობლის კვერს.

და...

ბერდედა მიუძღვება –

თანატოლებს

იმ სოფლისკენ.

1974



* * *

შენ სულ სხვა ხარ –
მზის მოქსავი...
და არა ის...
ხელუალმა,
დარდი კედელს შეაყარო.
შენ მზად ხარ ქრისტესავით,
მოყვასს მტერი შეაყვარო.

1993



* * *

ფერს კარგავენ მოციმციმე
ვარსკვლავები,
რადგან ისმის მომავალი
მზის ქუხილი –
ოქროს ეტლით მოჰყავს დილა.
ცას კი მთვარე,
ხელთ უჭირავს ჩიბუხივით
და დაეძებს შიგ ჩასატენ
ღრუბლის ფთილას.

1969



* * *

აბ –

მეოცე საუკუნეს,
მწუხარ პირს ვერ უხსნის დანა,
რადგან დიდი მეოერთმეტის –
ოქროვანი ახსოვს ხანა,
როცა ქართველთ
გულს უთბობდა –
ჭყონდიდის და დავით მეფის
სიბრძნის ჩხანა.*

1988

* ჩხანა – (მეგრ.) მზიანი დღე.



* * *

ჩაუხერგავს ეშმას გზები,
შენი ხსნა და საესავი –
ცას კიდია ელგის ყულფი.
აღე!

ჩამოიხრჩვე თავი,
ესეც ნება არის უფლის.

1999



ტაოზის და ჰენეოზის (ვარიანტი)

ათასწლეულების მერეც,
სადაც ერთვის მტკვარს
არაგვი,
მწარე სევდა ნარევ ოხვრით:
მესმის ჩუმი ლაპარაკი —
ტაოზის¹ და
ჰენეოზის²

1992

^{1,2} — ქართველთა ტომქბი.



ნააღრევი ზამთარი

ვითარც ინდიელს თეთრი ეცვა
შემოდგომას და....
ბოლო დღე კვირის –
მიაცილებს მას სახის ხოკვით.
ქვევრს კი ცასავით
გაედო პირი –
ლვინოს ისხამდა ვეება
კოკით.

1974



შვალი

თავისი ხელით შექმნილ სამყაროს
არ სურს წყვდიადის სისხლი
ღებავდეს.

(მარადისობა მით გაინაღდა.)

დღე,

ღამე არის, მაგრამ უფალი,
გათენებიდან –
დაღამებამდე,
დაატარებს მზეს, ვით ჩირაღდანს.

1969



* * *

მთები როცა გაიხდიან
თოვლის ნაბდებს
და ქედები ჩაიცვამენ
შწვანე პერანგს.
მსურს ვეწვიო ან ლებარდეს
ან ბახმაროს.

თავი უნდა დაგანებო
ლექსის წერას,
და ამით მსურს,
ჩემი მტრები გავახარო.

1999



ზეთებს, ურარტუს და მანას

ზვირთებს აღუვლენდა ლოცვად –
 მუხლმოყრლი პონტო,¹
 არმაზე,²
 ასე გადიოდა წანა.³
 და კოლხეთი წინ უძღვდა:
 ხეთებს,⁴
 ურარტუს⁵ და მანას.⁶

1970

¹ პონტო – შავი ზღვა.² არმაზი – მთვარის დვთაება.³ წანა (მეგრ.) წელი.^{4,5,6} – სამეფოები (VI ძვ. წ. აღ.).

* * *

ჩემს ეზოს წინ ხობის წყალი,
მახრასავით არღვევს
დამბას.

მიაბოლებს კოლხურ თუთუნს
და ქალებზე ყვება
ამბავს,

კ. ბაგრატა ჩუთზე ჩუთუ.^{*}

1966

* ჩუთუ (მეგრ.) – ცემდანი.



ბესარიონ ქვეშავია

გეას¹ შვილი ვარ და მიყვარს მიწა,
 ცა – ჩემთვის მშობლიური
 ყებურია,²
 სადაც ვარსკვლავების ნაკვერჩხლებით
 ვთბებით და...
 სიმაღლით ვერ ვთვრები –
 ამბობდა ბესარიონ ქებურია.³

1959

¹ გეა – მიწის ქალღმერთი.² ყებური (მეგრ) კერია.³ ბესარიონ ქებურია – პირველი ქართველი მფრინავი.

* * *

დარდი აღარ ეპარება
ჩემი გულის საფირონს,
ღია არის კარები,
მუდამ შენ მეყვარები –
„სქანი გოლუაფირო“.*

1960

* შენ შემოგევლე (მეგრ.).



სამყაროს ისტორია

თუნდაც ზღვაზე გასდონ ხიდი,
ბაბილონის სხვა გოდოლი
აშენონ...
მაინც ვიტყვი: მზის ტოლია,
რომ სამყაროს ისტორია,
(ვით მზე...) ბრუნავს
ძველ კოლხეთის გარშემო.

1963



ზღვა დამით

ასე მგონია,
ამის მსგავსი კდიებ სხვაცაა,
თვალები ვეღარ ანსხვავებენ:
თითქოს ზღვა – ცაც,
ისე ციმციმებენ გარსკვლავები.

1968



* * *

მზის ცეცხლისგან ქერქ დამწვარი
ვარსკვლავები —

დამის ფესვებია,

მიტომ აუდის კუმა.*

შენი —

მეტაფიზიკური ლექსებია,
მიტომ არიან ჩუმად.

1977

* კუმა (მეგრ.) — კვამლი.



* * *

ვითარც მტკვარი და ენგური
მოდის და ადარ

ილევა,
ამ ტიალ ჟამთა სრბოლაში:
„წინ წყარო“,
„რერო“,
„ლილეო“,
მზედ რომ აღმოხდა
გონაშვილს!

1997



პოლიტიკი მაჲატმა

მირიადი ხატებით,
მზეა მისი პროფილი,
ვინაც ზეცა მთიებით
დაწერა და
დახატა.

მანვე გადმოიყვანა ჩემში
პირველყოფილი –
ათას ზღვაში ნარწევი –
ეს კოლხური „მაჲატმა“.*

1968

* მაჲატმა – (სანსკრ.) მსოფლიო სული ინდურ მითოლოგიაში



* * *

ცის უდაბნოში ნახეტები
ბედუინივით,
დასალიერში მზე როცა ჩავა.
ამ წუთისოფელს –
ღამე წერს შავად,
დღე კი ათეთრებს.

1982



ქაშუათი

დღე ძალ-ღონე მიღეული,
ეთხოვება მთებს და
ბორცვებს
და კვლავ ჩადის ქვესკენლს ბინდად.
ლურჯფრთა გაშლილ
ანგელოზებს –
ჩამოფრენა უნდათ ტაძრის
ფრესკებიდან.

1969



დრო

მოვა დრო და გაგაქვავებს,
გაქცევს ლოდად
და შავ ქვად.

მანამდე,
თუ გაქვს საფქვავი,

უფლის წისქვილზე
ვაჟასებურად დაფქა.

1966



* * *

შეწყდა შეცხადება
თოლიების,
და ზღვისკარად ყრუდ შებინდდა.
სადღაც,
მთვარის უკან ბნელა.
დამეს, ვით შაშვს, ღრუბლებიდან,
კვლავ გამოაქვს
გარსებრძების
კურკანტელა.

1964



* * *

პელიონი გიხმობს და
ცისიერი
ცისაკენ –
დღე-ნიადაგი იურვი.
პოი,
როგორ გიზიდავს,
არყოფნა კოსმიური.

2004



* * *

შემოდგომის მწუხარია,
ისმის ჩიტთა ჟღურტული;
ჯარგვალში, ვით მიჯნური,
ერთურთს შესციცინებენ
„არგუნი¹ დო ბურჭული².“

1960

^{1,2} – ნაჯახი და ცელი (მემ).



* * *

ცელი უჭირავს თუ ორლესული,
ერთ მშვენიერ დღეს
უნდა შევიპყრო
და იარაღი უნდა აგყარო.
მართლაც და რაა,
შიშით სიკვდილის.
ზოგჯერ მზეც როა, სულ ფერმიხდილი
და რომ კანკალებს
მთელი სამყარო.

1998



* * *

ხობის პირას,
ახლოს ყულევს,
თხმელის ხეზე ზის ბავშვობა,
ხელთ უჭირავს გოდორი:
ოჯალეშს კრეფს და გაყურებს
სქვისა და კოდორებს.

1963



ხილვა: ეპატერინე ჰავშაგაძე

(1855)

სამეგრელოს დედოფალი,
გორდის ლამაზ სასახლეში
ზის მარტოკა ჯავრიანი.
ფიქრში ხედავს:
აფრებს რომ შლის,
ომერ ფაშას ჯარი არის.

1964



* * *

მეხის ეტლი ცაზე გადირახრახებს,

ხის ტოტები ელვით –

ავირტებს ნასკვავენ,

გაზაფხულის იქით,

სადღაც დასავლით.

აქ,

ზღვისკარად,

ერთი ციცქა გარსკვლავი,

დამის ტოტზე ჯდება ცქირპაპასავით.*

1961

* ცქირპაპა (მეგრ.) ძალზე პატარა ჩიტი.

* * *

(გარიანტი)

მიწაზე დაუტევარი,
საფლავშიც ვერ დაეტევი.

და...

მაინც დაიბეკნები.
გესმის ხმაური ბელტების...
წინასწარ გტკივა ნეპნები.

2007



* * *

ვით მეგრული „იაგნანა“,
ძილისპირულიდან მესმის,
უფლის ხატან მუხლმოყრილი,
როგორ ჩურჩულებდა დედა:
— „არ არს ჯვარცმა უმძიმესი,
ვიდრე ქართულ ჯვარსა
ზედა“.


1964



* * *

რომ მომცა ფრთები –
ცაში საფრენი,
სხვა არაფერი,
ო, ამისთვის უფალს მაღლობა.

1960



* * *

სინათლის ჟამთა ქარები,
ალბათ ეძებდნენ სამოთხეს
ცაში,
მიწიერ ეჭვითაც.
გარსკვლავთა თავის ქალები,
ალბათ, იმიტომ გამოხრეს,
რომ წუთისოფლის ტანჯვისთვის,
მერე იქიდან ეჭვრიტათ.

1989



დედათა მონასტერში

სანთლები არა,
სულებია მიცვალებულთა,
რომ ანათებენ...
და იწევენ ცისკენ ვედრებით;
აქ დარჩენლმა მოკვდავებმა
რომ იგრძნონ შვება.
და დაბზარული ტაძრის კედლები –
ანგელოზებს კვლავ
უჭირავთ ფრთებით.

1993



* * *

თვალში ჩავცერი ათასწლეულებს,
არ მეშინია (ვიმეორებ)

უკან მოხედვის.

და ალბათ ბედი

მეც გამიღიმებს.

თუმც უძველესი ჩემი

კოლხეთი,

თავს კვლავ აფარებს –

შორეული წარსულის მღვიმეს.

1983



ათას მოგონებას პარდიის

არ მშორდება და თან დამდევს,
ათას მოგონებას ბარდნის:

„შეუხედავი ჯუდი“.¹

და „სიმღერა პერანგზე“ კი
ტომას ჰუდის.

1964

¹ ინგლისელი მწერლის – ტომას ჰრდის რომანი.



* * *

მამა-პაპათა ნანატრმა,
სად შვების სიომ დაპბერა:
„ჩემი ცხოვარი იქ ძოვსა!“
ძმად გეფიცები ამირანს –
„უძმოს და
უამისძმოსა“.

1969



0სეპ შიგნი – „იქმენ ნათელი!“

ღმერთმა მოგხვდა!
„იქმნა ნათელი“,
რადგანაც შენი სული ჩემობდა.
და გინანავებს პალმა
ქოქოსის.
ოქროს ირემიც მთაზე შემოდგა,
ბადეს ამოყვა თევზი
ოქროსი.

1993



* * *

დღის მიღმა,

დამე მოელი —

ცას ვარსკვლავების მაყარით,
მზეც საქორწილოდ ირთვება.

სივრცემაც გადაიკარა.

ჟამს სამხრობისას

ზეირთებმა,

ჩამოისამხრეს —

ზღვისკარად.

1964



საქართველოს მფრინას

ავი არასდროს გვკლებია,
კარგის ვართ მოიმედენი!
(ქართველი ქმნიდა ეპოქას!)

და... საქართველო –
ედემი,
ცხადში კი არა,
სიზმარში,
რომ ნახონ ისიც ეყოფათ!

2004



* * *

(გარიანტი)

შარავანდებით მოსილი,
პოეტო,
შენი სახელი,
ბეგრს,
ბეგრ რამეებს აკისრებს!
წახვალ შენ! –
ბეგრის მნახელი
და... ბეგრიც მოგისაკლისებს.

2007



მოზღვენია აპარას

ფერისცვალება მოდის და,

ბუნებას ფერი ეცვლება.

მე კი,

წესილმა გამბაწრა:

მოუწყენია აბარწას,*

რომ გაფრენია მერცხლები.

1964

* აბარწა (მეგრ.) – აივანი.



* * *

ათასწლეულთა ტევრში შესული,
სიტყვებს დაეძებ
და დაწანწალებ,
რადგანაც ქართულ სულს
მოესურვა,
და... პოეზიის შენ ხარ წაწალი
ისე,
კითარცა მთა და ხევსური.

1986



ბზები და პილიკები

სადღაც მიღიან ბებერი გზები
და მოისმის ვაი და ვიში...
ხოლო იქვე არბი-ჩარბიან
ბილიკები –
ბავშვობისკენ,
მაგრამ
თვალი სასაფლაოსკენ
უჭირავთ შიშით.

2001



ისიც შურთ დედამიწაზე

არა ჩანს ქვეყნის მსაჯული,
დიდი ტანჯვა რომ გაკმაროს!
და....

რომ ხარ კლდეს მიჯაჭვული,
ისიც შურთ დედამიწაზე –
„ამირან,
ცოლ-დედამკვდარო!“

1964



ვიცი, ჩვენია რაც არი

ცრემლებით პირგალესილო,
ჩემო ცულო და
ნაჯახო! –
ვიცი, ჩემია რაც არი.
მირჩევნის სხვათა ბაჯაღლოს,
ჩემი ყებურის* ნაცარი.

1963

* ყებური (მეგრ.) კერძ.



ქართული, ქარდუ!

შორ წარსულთან ფიქრებს ვაბამ

და ტირილი მესმის მარდუს,¹

ხეთასა² და თორსა-დღეაბას,³ –

ვიღაცა ხმობს: ქართუუ!⁴

კარდუ!

ლექარდუ-სთან,⁵ აი, აქვე, ინგირის⁶ პირს...

ჭანწყარს,⁷ ჭანქვინჯს.⁸

1967

¹ მარდუ (მეგრ.) მოზარდი.

² ხეთა – სოფელი ხობის რაიონში.

³ თორსა-დღეაბა – სოფელი ხობის რაიონში.

⁴ ქართუ კარდუ – უფლებაი კოლხური (ქართველური).

⁵ ლექარდუ – (ლექარდე) სოფელი წალკის რ-ში.

⁶ ინგირი – ენგურის ძველი სახელწოდება.

⁷ ჭანისწყალი – მდინარე წალენჯიხის რ-ში.

⁸ ჭანქვინჯი – სოფელი ზუგდიდის რ-ში.



1991-1992 წწ.

შურის და მტრობის ირევა მუმლი...
ძმა ძმას და..
ძაღლი აღარ ცნობს
პატრონს.
სიყვარულს უცებ შეყრია კეთრი,
სად არის დმერთი?


1993



ზღვის მარტავია

იდუმალებით მოცული,
მირიად წლებით ნარყევი,
ნაპირზე თეთრად რომ ელავს,
განა ის მართლა ქაფია,
ისაა ეპიტაფია —
ზღვის,
ქარის ხელით ნაწერი.

1963



* * *

შურსა და მტრობას რომ აღარ
სძინავთ,

ეს აშკარაა,
დაუფარავი;
შავი ხარხარი ისმის
სატანის
ეს, დავითივით, იცის არავინ:
კიდევ რამდენი
დიდგორი მაქვს
გადასატანი.

2007



თბილისი – 1991

როცა თბილისში,
ძმათა შორის გაჩნდა ეკალი
და როდესაც თოფი გავარდა,
ომ პირევლ ტყვიას
ღმერთო,
ნებავ, მე მოვეკალი!

1991



ALLEN&BU

* * *

ვითარცა ბალდი,
ქარს ტალდა ჰყავს
ატატებული,
მოჰყავს შორიდან და არ გრძნობს
დაღლას.
თანსდევს ღელვა და აღარ ეშვება.
მერე ამოჰყავს ნაპირზე
და ეშინია ხელის შეშვების.

1980



* * *

კერის ცეცხლის ალს გამოქცეული
ომაშეტრუსული და შავი კუმა,*
ცისკენ მიიწევს მედიუმივით.

მიცვალებულნი,

გგონიათ დუმან!?

ლაპარაკობენ მკვდრები...

დუმილით.

1986


* კუმა (მეგრ.) კვამლი.



* * *

იქ სადაც ზღვას ერთვის
ფაზისი,
უკრად,
ღელვა თუ წარსული,
მოადგა ნაპირს და გაბრუვდა,
თითქოს და კოლხეთის
ხელმწიფის ასული –
მედეა,
მშობლიურ კოლხეთში
დაბრუნდა.

1966



* * *

სიმძიმისაგან ჩატყდება
ცისარტყელის ხიდი,
მაინც ვერაფერს შეცვლის
თვითმკვლელობა კომეტის.
და... ცა უბეჭი იდებს:
დღისით მზის – ოქროს,
დამით – ვერცხლის
ძვირფას მონეტებს.

1977



ამცორები

პონტოს ნაპირზე დაბუდრებულნი
შავი დღეები,
ალბათ უშლიდნენ!!!
და უცხო იყო ადრე მათვის
ნათლის ამბორი.
კოლხური მიწა გულს გვიხსნის და
გვაწვდის გულმშვიდად,
იდუმალებით და სიშორით
სავსე ამფორებს.

2001



* * *

ქელების სუფრას მისხდომიან
მექელებენი
და მოსდით ალბათ ზომაზე მეტი.
ბოლოს სიკვდილის სადღეგრძელოს
სვამენ „ადესით“,
რომელსაც ჩემად,
ჩამავალ მზის მწუხარე ეტლით,
მოკვდავთ სულები მიჰყავს
პადესთან.*

2002

* პადესი (ბერძ.) მიწისქვეშა სამყაროს და
მიცვალებულთა სულების მბრძანებელი.

* * *

არც კაპიტანი და არც ბოცმანი,
გემი კი მდგრიე ზვირთებს
 მისერავს...
გემბანზე მოჩანს ერთი მსახური.
მას „სოკოს“ ოეთრი
 ქუდი ახურავს
და სოკოს ფეხზე უგავს კისერი.

1964



უნდა შეგზნდოთ

რა დღეს და რა ხვალ,
ერთნაირად ხელებს
დაგვიქნევს,
ყოფნით დაღლილი მზე – საღამოსი.
და ნუ ვაწამებთ,
და ნუ ვატირებთ
უნდა შევუნდოთ!
თუა ნამუსი,
ჩვენ,
სულ პირველ ცოდვის პატიმრებს.

1994



* * *

რომ მიხმობს ცისკრის ვარსკვლავი,

ვინ იცის,

თუ რას მიქადის!

ცა – გადამდნარი ოქროა,

გზა კი სულ ოკრო-ბოკროა,

ნეტავ,

თუ მივალ იქამდე!

2005



ალვის ხე სასაფლაოზე

არ ჩანს სიკვდილი,
მაგრამ მწუხარ სასაფლაოზე,
ვითარცა მისი ნაფეხურები,
სსოვნა წაშლილი ყრია ლოდები.
ჭიშკართან ალვა ნამის თვალებს
რომ აფახულებს,
ნეტავ,
ვიცოდე ვის ელოდება?!

1996



სარჩევი

შესავალი	5
პგამლი	25
1991-1993	26
ვითარცა მაკიაველი	27
*** (გორგასალის ნაშიერი)	28
№	29
*** (ჩიქორთულით ნაწერ წიგნებს)	30
მარდუქა	31
ურწმუნო თომა	32
*** (აწ ერთადერთი ის დაგრჩენია)	33
მარტი	34
დედის ბაღ-ბოსტანი	35
*** (ვითარც პოეტი და მეომარი)	36
*** (ზღვა ციცქა ტალღას...)	37
ჩრდილი გადაუფრენს რომსა და პარიზს	38
მარადიული სინაოლე მოსავს	39
ლოგოს, ლოგიკას	40
60	41
*** (გახედეს ნაპირს...)	42
*** (ვეშაპივით ჩასანთქმელად)	43
*** (დედის ცრემლებით მორწყელმა)	44
ზამთრის იდილია	45

პერა დიდი.....	46
დვინის ხე	47
მუსკ-მოსხთა და მოსინიკთა.....	48
მეომრები.....	49
დილის ჰაემანი	50
*** (გადაიწვიმა).....	51
*** (ბროწეულივით შუბლგაჩენილი).....	52
მოციქულთა წინაოგრძნობა.....	53
გაზაფხულის მასარობელი.....	54
სოკოების კრეფა სქვიას ტყეში.....	55
მარტოხელა მკითველი.....	56
*** (რწმენა დაკარგა მოდგმამ ადამის)....	57
გაზაფხულის ჰყვავის ბაღი.....	58
წვენი კოლხეთის დიდო წარსულო.....	59
*** (გაფრენილ დღეებს აღარ მივტირო) ...	60
*** (ქარის თუ ქარიშხლის დაჟინებით)	61
ფიროსმანი: „მოქეიფე ყარახოდელები“	62
მთვარის კუნძული	63
ჩინელებს და ინდიელებს	64
ვითარც ჰიროს.....	65
*** (მთებმა სითეთრე გადაითოვლეს).....	66
ტრფობა ფარული	67
ზამთრის დამე.....	68
ზღვაო	69

*** (შენთვის არასდროს მითქვამს).....	70
*** (პოდიუმზე მიხვრა-მოხვრის)	71
*** (დამეულ მინდორზე ეყარა).....	72
შუა ხორგის სასაფლაო	73
*** (ჟამს მიმწუხერისას ზღვა).....	74
აღგვადგენს მკვდრეოთოთ	75
*** (ქაფის ვერცხლისფერ ჯაჭვით დაბმული).....	76
სულო	77
გირლანდია და გლიცინია	78
ჰელიოსის რაშის ჭიხვინს	79
მეგალითები	80
შენი სახელი	81
*** (ქრისტეს სისხლი)	82
იუდას ამბორი.....	83
*** (ჩემი ზღაპრული კოლხეთის).....	84
*** (რაც მიწისაა რჩება მიწაზე).....	85
ქარონი.....	86
*** (ციდან ამაყად გადმომზირალი).....	87
ცა არის მხოლოდ მარადიული	88
გულს უწუხებს სიცხე თბილისს	89
*** (ცას გამყივარი თოვლის დუმილი).....	90
სალამური და ლარჭემი	91
*** (მზისა და მთვარის შავ-თეთრი პინა).....	92

*** (დრუბლებმა წვიმების ჩიჩახვი)	93
*** (ელვის ოქროს სიმებიანს)	94
*** (ჩემს ყოფნაში კი...).....	95
ამოყავთ მოვარე საკეისროთი.....	96
*** (დელვამ ზღვის ფსპერზე დაბუდებულმა).....	97
*** (ალბათ ჯვარზე გაგაკრავენ)	98
ჩემი ფიქრები	99
*** (ხმა აღარ ისმის დილით მნათობის) ..	100
იცის იმ ერთმა	101
*** (ილორს შორიდან ვუცქერი)	102
*** (ირევა დიდი და პატარა).....	103
*** (გმირთა სიცოცხლე არის სარკე).....	104
ოთხი დრო	105
დოდი	106
*** (ჩემს სიგრძე სანთელს ავუნთებ)	107
*** (წუთისოფელში წუთით მოსულებს) ...	108
*** (ცად როდესაც ავმაღლდები)	109
ისევ ფარსმან ქველი	110
პილიგრიმივით	111
კით ბრძანა ბრძენმა არაბმა	112
ოჯალეში	113
მართალი კაცი.....	114
ბრწყინავს ვარსკვლავი	115

შემოდგომა კოლხეთში.....	116
*** (სიბერე რომ წამოიწყებს)	117
არმოხდება მზე ქალწული	118
ჩემი ბავშვობა	119
დავით აღმაშენებელს	120
*** (კომეტები თავს იკლავენ).....	121
სქილა და ქარიბანა.....	122
*** (მაინც სხვა არის ლტოლვა ზეცისკენ).....	123
*** (როცა მეხმა ჩაირბინა).....	124
*** (გაყინულ თოვლში)	125
*** (მთვარე მიჭირავს პერისკოპივით)	126
რუსთაველის ავენიუ.....	127
წიგნია „კოლხური ფსალმუნები“, (ტომი მეორე)	128
*** (მზე დამესა და ათასწლეულებს)	129
*** (დამეული დღეები).....	130
*** (გიპყრია მთვარის კითარა).....	131
მრავალ დევებთან საომრად	132
*** (ისე...)	133
ახალი მთვარე	134
წარსულის ექო	135
სული კოლხური	136
*** (როცა სიცოცხლე)	137

გვა, ესერი	138
*** (მამის საფლავთან ბალახს)	139
უფეხურა	140
პეპელა	141
ლეფორ ქუდავა	142
წვიმები	143
*** (გადაუქროლავს ათასწლეულებს)	144
ორბეთის ღამე	145
ოლოლი ოლოლს	146
სკიპტრა და ტახტი	147
იდეალისტი	148
*** (აპა, ნოსტე)	149
ვიფელთან	150
მარადისობა	151
*** (მზე ჩავიდა...)	152
ყოფნა არყოფნა	153
*** (ღმერთი თავის წილს ყველას არგუნებს)	154
*** (ყველანი სიკვდილის შვილებია)	155
*** (ესეც პოეტის ბედი იქნება)	156
*** (თავს დაგვბრუნავდნენ ცეცხლის მახვილით)	157
*** (ლეგენდებიდან ისმის კივილი)	158
სული	159

*** (ვარიანტი).....	160
ერთ ნაბიჯზე არის სამოთხე.....	161
პრეისტორიის დიადი გზები	162
მეფე ვახტანგ გორგასალი.....	163
*** (შენი გონი მარადის ფხიზელია).....	164
*** (შენ არ უშვიხარ ქალწულ მარიამს). 165	
*** (ელვის ჯარი როდესაც).....	166
*** (შენ ჩემს ლექსს ძველი ქურთუკი მოსავს).....	167
*** (ზოგ პოეტს...)	168
ტახტი და სკიპტრა	169
*** (იყურება)	170
შენი ძეგლი	171
ოხეორე და ოგვაჯე.....	172
*** (არდავიწყების მზით შემოსილი).....	173
ყებური და ტაბაკი.....	174
*** (მიმწუხრისას სოფლის ბოლოს).....	175
*** (წვიმებით სველ ქარი ყურებს).....	176
ისევ აღდგომის კუნძულზე.....	177
*** (დამით მიმავალ მზის შიშით)	178
პელიოს ძის კოლხეთში.....	179
*** (ცა – ქართული, მზე – ქართული).....	180
*** (ჯერჯერობით ხახა მშრალი)	181
შენ სულ სხვა ხარ	182

*** (ფერს კარგავენ მოციმციმე გარსკვლავები).....	183
*** (ამ მეოცე საუკუნეს).....	184
*** (ჩაუნერგავს ეშმას გზები)	185
ტაოხისდა პენიოსის	186
ნაადრევი ზამთარი.....	187
უფალი.....	188
*** (მთები როცა გაიხდიან თოვლის ნაბდებს).....	189
ხეოებს, ურარტუს და მანას	190
*** (ჩემს ეზოს წინ ხობის წყალი)	191
ბესარიონ ქებურია	192
*** (დარდი ადარ ეკარება)	193
სამყაროს ისტორია.....	194
ზღვა დამით	195
*** (მზის ცეცხლისგან ქერქ დამწვარი)...	196
*** (ვითარც მტკვარი და ენგური).....	197
კოლხური მაჟარმა	198
*** (ცის უდაბნოში ნახეტები ბედუინივით).....	199
ქაშვეთი.....	200
დრო	201
*** (შეწყდა შეცხადება თოლიების)	202
*** (პელიოსი გიხმობს და...)	203

*** (შემოდგომის მწუხარება).....	204
*** (ცელი უჭირავს თუ ორლესური).....	205
*** (ხობის პირას).....	206
ხილვა: ეკატერინე ჭავჭავაძე).....	207
*** (მეხის ეტლი).....	208
*** (მიწაზე დაუტევარი).....	209
*** (ვით მეგრული „იაგნანა“)	210
*** (რომ მომცა ფრთები)	211
*** (სინათლის ქამთა ქარები).....	212
დედათა მონასტერში.....	213
*** (თვალში ჩავცერი ათასწლეულებს).....	214
ათას მოგონებას ბარდნის	215
*** (მამა-პაპათა ნანატრმა)	216
ისევ წიგნი: „იქმენ ნათელი“	217
*** (დღის მიღმა...)	218
საქართველოს მტრებს	219
*** (შარავანდედიო მოსილი)	220
მოუწყენია აბირწას	221
*** (ათასწლეულთა ტვერში შესული)	222
გზები და ბილიკები	223
ისიც შურთ დედამიწაზე	224
ვიცი, ჩემია რაც არი	225
ქართულ, ქარდუ!.....	226
1991-1992 წწ.....	227

ზღვის ეპიტაფია.....	228
*** (შურსა და მტრობას)	229
თბილისი – 1991.....	230
*** (ვითარცა ბალდი).....	231
*** (კერის ცეცხლის ალს გამოქცეული) 232	
*** (იქ სადაც ზღვას ერთვის ფაზისი)	233
*** (სიმძიმისაგან ჩატუდება).....	234
ამფორები	235
*** (ქელესის სუფრას მისხდომიან).....	236
*** (არც კაპიტანი და არც ბოცმანი)	237
უნდა შეუნდოთ	238
*** (რომ მიხმობს ცისკრის ვარსკვლავი) 239	
ალვის ხე სასაფლაოზე	240

D. J. Gammie



ვაჟა ებრისელი

გოლჩური ფსალმუნები

100 ტომაზ
ტომი 69

VAZHA EGRISELI
“KOLKHURI PHSALMUNEBI”
ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 69

- | | |
|---------------------|-----------------------------|
| გამომცემლობის | |
| რედაქტორი | — ანზორ ჯავარიძე |
| მხატვარი | — სპარსაძე ციცაძემ |
| მხატვრული რედაქტორი | — ირაკლი უშვერიძე |
| ტექნიკური რედაქტორი | — ნანა ღუმბაძე |
| კორექტორი | — ნათია ბიუტაშვილი |
| კომპიუტერული | |
| უზრუნველყოფა | — ნანა და დათო ყადეაშვილეათ |

გამომცემელი — ვაჟა დოლგაია

ფასი 20 ლარი

თბილისი
2020



გამომცემლობა „ვაჟალსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაია №4. ტე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com